

პერსპერაფი

29.01.2025

www.ibsu.edu.ge

Writing for Newspaper
IBSU Media Centre



ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები

„ქართული ფეხბურთი აღმასვლის პერიოდში...“

გვ. 13-14

რას კითხულობს Gen Z-?-ახალი თაობის ტენდენციები

„როდესაც პოლიტიკურ წიგნებს ვკითხულობ, ვხვდები თუ როგორ ართმევს პოლიტიკა ადამიანს პატიოსნებას“

გვ. 12

მკურნალობის მნიშვნელობა თანამედროვეობის დროს

რომელია მკურნალობის ყველაზე ახალი, შედეგიანი და ბიუჯეტური მეთოდი?

გვ. 9

უკანონო გამგებების მემკვიდრეობა:

როგორ ვიპოვებთ ერთმანეთს დაკარგული ოჯახის წევრები...


ათწლეულების განმავლობაში დაბადებული ათასობით ბავშვის მშობლებს ატყობინებდნენ, რომ მათი შვილები გარდაიცვალნენ....

გვ. 7

საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გაუქმების საფრთხე და ბოლოდროინდელი მოვლენები:
„საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გაუქმება რეალური საფრთხეა, როგორც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის როგორც ქვეყნის მოსახლეობას, ისე ხელისუფლებას.“

იხ. გვ. 3

აფხაზეთი რუსეთის წინააღმდეგ?! - რა ხდება ოკუპირებულ რეგიონში



ფოტორეპორტაჟი / გვ. 5

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ოპოზიციისა და მათი მხარდამხრების მასშტაბური აქცია დაიწყო, როგორც ბოლოს მარიონეტული პარლამენტის და პრეზიდენტის ასლან ბჟანიას გადადგომის დაპირებით დასრულდა.

იხ. გვ. 2

**აფხაზეთი რუსეთის წინააღმდეგ?! -
რა ხდება ოკუპირებულ რეგიონში**

ავტორი: საბა შუბლაძე

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ოპოზიციისა და მათი მხარდამჭერების მასშტაბური აქცია დაიწყო, რომელიც ბოლოს მარინეტული პარლამენტის და პრეზიდენტის ასლან ბჟანიას გადადგომის დაპირებით დასრულდა.

თავდაპირველად ბჟანიამ ითხოვა, რომ უახლოეს არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ამჟამინდელი ვიცე პრეზიდენტი - ბადრ გუნბა ყოფილიყო, თუმცა ამაზე ოპოზიციამ უარი განუცხადა. მათ მტკიცედ მოითხოვეს პრეზიდენტთან ერთად მთელი დე ფაქტო მთავრობის გადადგომა. შემდეგ დღეს, როდესაც პროტესტის მუხტი შედარებით თერბილდა და გაჩნდა განცდა, რომ თითქოს ბჟანიციამ გაიმარჯვა, ასლან ბაიზიმი გადადგომა გადაიფიქრა.

დაძაბულობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც 5 ოპოზიციონერი დააკავეს.

მათ გულდაუთავში მხარდამჭერებთან შეხვედრა გამართეს, სადაც გააკრიტიკეს რუსებთან საინვესტიციო შეთანხმება. ამის შემდეგ მათთან პოლიცია მივიდა და ე.წ. ოპოზიციონერები დააპატიმრეს. მათმა მხარდამჭერებმა ხიდეზი გადაკეტეს, რომლებიც სოხუმს რეგიონის სხვა ქალაქებთან აკავშირებს. ამის შემდეგ პროტესტმა სახელმწიფო უსაფრთხოების შენობასთან გადაინაცვლა, სადაც დაკავებულები ყვადით გადაყვანილი. მეორე დღეს - ყველა დაკავებული განათავისუფლეს, თუმცა, უკმაყოფილება არ გამქრალა.

15 ნოემბერს, ოკუპირებული რეგიონის პარლამენტში უნდა წარედგინათ შეთანხმება რუსული ინვესტიციების შესახებ, რომლის რატიფიკაციას დაჟინებით ითხოვს მოსკოვი. ამ შეთანხმების მიხედვით, რუსული ბიზნესის შესაძლებლობები აფხაზეთში დიდად ფართოვდება, რაც არ მოსწონთ ადგილობრივებს და ოპოზიციას.

საქმე ისაა, რომ შეთანხმების პროექტი ჯერ კიდევ გასულ წელს დააწინააღმდეგა. ამ შეთანხმების მეხუთე მუხლის მიხედვით, რუსულ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ აფხაზური მიწები ისე შეისყიდონ, რომ უძრავი ქონება მათ სა-

კუთრებაში გადავიდეს.

ამ კომპანიებს შეეძლებათ სხვა ქვეყნებიდან იაფი მუშა ხელი მოიყვანონ, შეიტანონ აფხაზეთში სამშენებლო მასალები ყოველგვარი გადასახადების გარეშე, ასევე ამუშნდებოთ ბანკი, რომელიც სხვადასხვა პროექტებს დაფინანსებს. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების მინ-

პარალელურად რუსული მხარე აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ ერევა აფხაზეთის შიდა საქმეებში და იმედს იტოვებს, რომ სიტუაცია დარეგულირდება.

იმისათვის, რომ მმართველმა
 ძალამ ბჟანიას ხელით პრორუსუ-
 ლი ინტერესები გაატაროს, ამისთ-
 ვის მოსკოვი ფინანსურ ზეწოლას

მიხედვით, ისინი დაკარგავენ ტურ-იზმიდან მიღებულ შემოსავლებს, თანაც რუსეთი ჯერ არმიღებული კანონის გაფართოებას მუდმივად ახერხებს.

კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში მრავალფუნქციური კომპლექსები ზოგადად იყო განერილი. აფხაზები ფიქრობდნენ, რომ საუბარია უბრალოდ აპარტამენტებზე, თუმცა მოგვიანებით დაკონკრეტდა, რომ ეს მრავალფუნქციური კომპლექსები მოიცავს: სპორტულ, საჯაჭრო და გასართობ დაწესებულებებს. ადგილობრივებს აქვთ საფუძვლიანი შიში, რომ ამ შეთანხმების მიღების შემთხვევაში მათი შემოსავლები ან შემცირდება ხოლო ჯერეს შემთხვევაში საერთოდ გაჩერება.

ბუნიას პოზიცია არის ის, რომ ახლა აფხაზეთს საშინელი ეკონომიკური პერიოდი აქვს, ხოლო ინვესტიციების შესახებ კანონი, ეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნებოდა.

„რუსი ინვესტორები იღებენ კვოტებს უცხოური მუშახელის შემოყვანისთვის, რაც ნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ სანარმოებში არ იმუშავებს, ეს კი ორმაგად საზიანოა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რადგან ისინი ბიზნესთან ერთად სამუშაო ადგილებსაც კარგავენ“ - განაცხადა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ.

თავდაპირველად სოციალური ქსელების ქართულ სეგმენტში დიდი ზეიმი იყო, თითქოს აფხაზები გონს მოეგნენ და რუსეთისგან თავის დაღწევა უნდოდათ, თუმცა, ეიფორია მალევე შეწყდა. პროტესტზე მისულ ადამიანებს, აფხაზეთის დროშასთან ერთად რუსული დროშები ეჭირათ და სიამაყით აფრიალებდნენ, ეს ერთგვარი ნიშანი იყო იმისა, რომ ეს პროტესტები არავითარ შემთხვევაში არ არის ანტი-რუსული ხასიათის. მალევე გაჩნდა

A large crowd of people, many wearing dark clothing and caps, gathered outdoors. Several individuals are holding up flags, including the flag of the Republic of Serbia (red, blue, and white horizontal stripes). The background features tall trees and a cloudy sky.

იმალური რაოდენობა 2 მილიარ-
დი რუბლი უნდა იყოს. აფხაზები
ფიქრობენ, რომ ეს ადგილობრივი
მცირე და საშუალო ბიზნესისთვის
უბრალოდ განაჩენია და ყველაზე
მეტად ტურისტულ სფეროს შეეხე-
ბა, რომელიც რეგიონის ბიუჯეტის
მესამედს აკლავს.

„ამ შეთანხმების მიხედვით, რუსული ბიზნესი აფხაზეთში 25 წლით თავისუფლდება გადასახადებისგან, ასევე რუსებს უწინდება შესაძლებლობა აფხაზეთი ათივეთის, აფხაზეთის გარეშე, ანუ ადგილობრივებს თავაბოვნ იყენენ არა მესაკუთრეები არამედ, მაქსიმუმ რისი იმედიც უნდა ჰქონდეთ არის ის, რომ იყენნ დაქირავებული მუშები.“ - განაცხადა ეკონომისტმა, ზადრი სამუშიამ.

ადლიერებს, მაგალითად, შემოდგომას რუსეთმა მათთვის საჭირო კანონის მიღების შეყოვნების გამო, აფხაზეთი დასაჯა. საუბარია სასამართლო აღსრულებისა და ეკონომიკური საქმიანობის არბიტრაჟის შესახებ კანონპროექტზე, რომლის მიხედვით - აფხაზეთში ბიზნესის საქმიანობის მარეგულირებელი არა აფხაზეთის, არამედ რუსული სასამართლო იქნება.

მოსკოვმა 3 სექტემბერს, სოციალური დახმარება მასწავლებლებისთვის და ექიმებისთვის შეაჩერა, შესაბამისად - აფხაზებს მოუწიათ 26 სექტემბერს ეს კანონი მიეღოთ, თუმცა, საინვესტიციო შეთანხმება ბერკად დიდ წინააღმდეგობას აწყდება, აღამიანები დეკლარან, რომ ამ შეთანხმების

ავტორი: დავით ბანცაძე

ქარხანა „დელტა“ — ქართული ინოვაციისა და
თავდაცვის სიმბოლო

საქართველოს სამხედრო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სიმბოლოდ იქცა.

მისი ისტორია იწყება 1990-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს მთავრობის ძალისხმევით შეიქმნა ინსტიტუტი, რომელიც ადგილობრივ სამხედრო ტექნოლოგიებზე იმუშავებდა. დღეს „დელო-3“ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბის პროექტებში მონაწილეობს.

პირველი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ქართული ჯავშანმანქანის „დიდგორი 1“-ის შექმნა. იმ პერიოდისთვის ქვეყნის თავდაცვის ძალებისთვის ეს იყო ისტორიული მოვლენა, რადგან საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველად, თვითონ აწარმოებდა ტექნიკას, რომელიც ბრძოლაში გამოყენებისთვის მზად იყო.

2010 ხელს, როდესაც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში სამხედრო სწავლებები მიმდინარეობდა, „დიდგორის“ საცდელი ვერსია პირ-

ველად გამოიყენეს. იმ დროისთვის არსებობდა ტექნიკური ხარვეზები, თუმცა, საბოლოო სახით დამზადებულმა მოდელმა ყველა სტანდარტი დააკმაყოფილა. „დიდგორი“ დამზადებულია სახმელეთო და ბალისტიკური დაცვის თანამედროვე სისტემებით.

2011 წელს ის ოფიციალურად მიიღეს შეიარაღებაში, შემდეგ კი მისი ექსპორტი აზიისა და აფრიკის ქვეყნებშიც განხორციელდა. ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ლანკაი“, რომელიც სრულად ქართულად არის შექმნილი, „დეტას“ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პროექტია. მისი განვითარება 2012 წელს დაიწყო და ის შეჯავშნულია და მრავალფუნქციური სისტემების ინტეგრაციას აერთიანებს. „ლანკამ“ ექსპერტების დადებით შეფასება დაიმსახურა თავისი მაღალი მანევრირების უნარისა და (ციხლის მართვის სისტემის გამო.

„თავიდან სულ სხვა პროფესიით
ვიყავი დაკავებული, მაგრამ როდე-
საც ქარხანაში პირველად მოეხვდი,

ეს იყო ნამდვილი გამარჯვება ჩვენი გუნდისთვის, რადგან უცხოელები აღფრთოვანებული დარჩნენ იმით, რომ ასეთ პატარა ქვეყანას შეეძლო მსგავსი ტექნოლოგიის შექმნა.

მივხვდით, რომ ამ პროექტზე მუშაობა ჩემი მოწოდებაა. ყველაზე დამამახსოვრებელი დღე იყო, როდესაც „დიდგორი 2“ ექსპორტზე გავიდა. წარმოება ჩვენთვის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა იყო, მაგრამ საბოლოოდ ეს პროექტი წარმატებით დასრულდა.“ - განაცხადა დელტას ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

დელტას მიერ შექმნილი ჯავშან-
მანქანები ხშირად გამოიყენება
ბუნებრივი კატასტროფების დრო-
საც.

2015 წელს, თბილისში მომხ-
დარი წყალდიდობის დროს, „დიდ-

“ჯვება ჩვენი გუნდისთვის,
ფრთოვანებული დარჩნენ
ქვეყანას შეეძლო მსგავსი

გორი“-ს სამედიცინო მოდელი
გამოყენებული იყო სამაშველო ოპ-
ერაციებში.

ქარხანაში ინოვაციები მუდმივად მიმდინარეობს. მაგალითად, ახლახან დაიწყო მუშაობა დრონებ-



ოპოზიციის განცხადება, რამაც ნათელი მოჰფინა რეალობას.

„ოპოზიციის მოქმედებები, არ არის მიმართული რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის ნინაღმდეგ, პირიქით ჩვენ როგორც ოპოზიცია მუდმივად ხაზს ვუსვამდით ჩვენი ქვეყნების ძმურ და სტრატეგიული კავშირის მნიშვნელობას, დღეს მიტინგზე ხალხი შევიკრიბეთ არა იმისთვის, რომ ჩვენი მოკავშირეების ნინაღმდეგ გავმოკედეთ, არამედ დავიცვათ აფხაზეთის ეროვნული ინტერესები“ - აღნიშნულია განცხადებაში.

აფხაზეთის ოპოზიციის ლიდერი არის ადგურ არძინბა, რომელიც 2019 წელს აფხაზეთში ვიცე პრემიერის თანამდებობაზე მუშაობდა, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ეს პოზიცია დატოვა და არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

17 ნოემბერს ადგიური საქართველოს მიმართ გამოიჩინა, მან სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე გააკეთა კომენტარი.

„აფხაზეთში ახლა არის მცდელობა, რომ ადგილობრივებმა არ მიიღონ რუსული კანონი“ - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა და ამით იქაურ საზოგადოებას სოლიდარობა გამოუცხადა.

არძინბას თქმით - ზურაბიშვილი ხელმძღვანელობს მითოლოგიით, აფხაზეთის რესპუბლიკა არის თავისუფალი ქვეყანა და თვითონ განსაზღვრავს ბედს, მისთვის გაურკვეველია ვის მიმართ არის სოლიდარული პრეზიდენტი და დაამატა ისიც, რომ განსხვავებული შეხედულებები აქვთ, არა მხოლოდ ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, არამედ მორალზეც. ადგურმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთი აფხაზეთის სტრატეგიული მოკავშირეა და ენგურის მეორე მხარეს, ანუ საქართველოში, არცერთი პოლიტიკოსის განცხადება მათ არ აინტერესებთ.

ავტორი: ნინო მიქავა

საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს საერთაშორისო არენაზე ინტეგრაციისკენ, ხოლო ევროკავშირთან უფიზო რეჟიმის მიღება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. 2017 წლიდან, საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ უფიზოდ ემოგზაურათ შენგენის ზონის ქვეყნებში, რაც მნიშვნელოვნად აამაღლა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი და გაამარტივა მოქალაქეთა გადაადგილება. თუმცა, ბოლო პერიოდში გაჩნდა გარკვეული საფრთხეები, რომლებიც უფიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმებას უკავშირდება. უფიზო რეჟიმის მნიშვნელობა საქართველოსთვის ევროკავშირთან უფიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან უპირატესობას ქმნის:

1. თავისუფალი გადაადგილება – საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა უვიზოდ იმოგზაურონ ევროპის ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტებისთვის (90 დღემდე 180-დღიან პერიოდში).

2. ბიზნესისა და განათლების პერსპექტივები – უფრო მარტივი გახდა ევროპაში ბიზნესის დაწყება და განათლების მიღება, რაც ახალ შესაძლებლობებს აძლევს როგორც ინდივიდებს, ისე კომპა-

ნოქბს.

3. ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება – უვიზო მიმოსვლა აღქმულია როგორც საქართველოს ევროპასთან დაახლოების მნიშვნელოვანი ეტაპი, რაც ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესს.

4. ტურისტების განვითარება – უვიზო რეჟიმი ასევე ხელს უწყობს ევროპელების ვიზიტებს საქართველოში, რაც დადებითად აისახება ტურისტულ სექტორზე. უვიზო რეჟიმის გაუმჯობესების საფრთხეები სხვადასხვა ფაქტორებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს უვიზო რეჟიმს ევროკავშირთან. მათ შორისაა:

1. არალეგალური მიგრაცია ბოლო წლებში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან შენგენის ზონაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდა ევროკავშირის ქვეყნების შემოღობვას იწვევს. ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმ ფაქტით, რომ ქართველებს გარკვეული ნაწილი ენიჭიეს მიზნებს არალეგალური დასაქმებისთვის იყენებს ან სარგებლობს სოციალური დახმარებით.

2. კრიმინალის ზრდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დაფიქსირდა კრიმინალური ჯგუფების საქმი-

ანობა, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, კრიმინალური ქმედებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოსთვის ნეგატიური იმიჯს ქმნის.

3. სამიშროვანი წესების დარღვევა არსებობს შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქეები უფიზო რეჟიმით სარგებლობენ, მაგრამ აჭარბებენ დარჩენის ლიმიტს, რაც არღვევს შეთანხმებულ პირობებს და საფრთხის უქმნის ქვეყნის რეპუტაციას.

4. პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური კავშირები გავლენას ახდენს უფიზო რეჟიმზე. შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფციული სიკანდალები და რეფორმების შეჩერება შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოს ევროპული პერსპექტივების განვითარებაზე. შესაძლო შედეგები უფიზო რეჟიმის გაუქმების შემთხვევაში თუ საქართველოს ევროკავშირი უფიზო რეჟიმს გაუქმებს, ეს ქვეყანას მძიმე ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს შეუქმნის.

ეკონომიკური ზიანი – სავარაუდოდ, შემცირდება საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობა იმუშაონ და ბიზნესი განავითარონ ევროპაში, რაც შემოსავლების შემცირებას გამოიწვევს.

ემიგრაციის ზრდა არალეგალური გზებით – ვიზის დანესების შემთხვევაში, გაიზრდება არალეგალური ემიგრაციის რისკი და ამავდროულად გაიზრდება სავარაუდო დეპორტაციების რაოდენობა.

დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესება – ეს მოვლენა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას და გაართულებს სხვა სამომავლო მოლაპარაკებებს. რისკების პრევენციის გზები იმისათვის, რომ საქართველომ თავიდან აიცილოს უცხოელ მიმოსვლის გაუმემა, აუცილებელია რამდენიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა:

1. არღლეგალური მიგრაციის კონტროლი – მთავრობამ უნდა გაამკაცროს საზღვრის კონტროლი და ხელი შეუწყოს მოქალაქეების ინფორმირებას უვიზო რეჟიმის წესების შესახებ.

2. კრიმინალის პრევენცია – აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ევროპულ სამართალდამცავ სტრუქტურებთან და კრიმინალური

საქმიანობის წინააღმდეგ მკაცრი
ზომების მიღება.

3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება – მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ უფიზო რეჟიმის დარღვევა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ პერსპექტივებს.

4. რეფორმების გაგრძელება – საჭიროა ქვეყნის სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება, რაც ევროკავშირის ნდობას კიდევ უფრო გაამყარებს. პოლიტიკური თუ რეგულაციური ნაკლებობის გამო, რეფორმების მიზანმიმართული და სისტემური განხორციელება შეუძლებელია. ამიტომ, რეფორმების განხორციელების მიზანმიმართული და სისტემური განხორციელება შეუძლებელია. ამიტომ, რეფორმების განხორციელების მიზანმიმართული და სისტემური განხორციელება შეუძლებელია.

იმისთვის, რომ ეს რეჟიმი შეუნარჩუნდეს საქართველოს მოქალაქეებს, აუცილებელია მთავ-

საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გაუქმება რეალური საფრთხეა, რომელიც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის როგორც ქვეყნის მოსახლეობას, ისე ხელისუფლებას.

რობისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, კანონის პატივისცემა და ევროპული სტანდარტების დაცვა. მხოლოდ ამ გზით შეძლებს საქართველო ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებას და არსებული მიწვევების შესარჩევას”.



რედაქტორის სვეტი

დღე N7 - აუდიტორია N101

„ძალა ახალგაზრდებშია“ - იმეორებს ყველა და ბრძოლა გრძელდება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 101-ე აუდიტორიაში მეშვიდე „თავისუფლების დღეა“ თენდება. სტუდენტები სოლიდარობის და პროტესტის ბევრნაირ გზას მიმართავენ.

ყველა მკაფიოდ და ხმამაღლა აფიქსირებს აზრს, რომ ევროპულ გზას ალტერნატივა არ გააჩნია. ისინი ითხოვენ, რომ გათავისუფლდეს სისტემის ყველა უკანონო პატიმარი და მანამ, სანამ ერთი რეჟიმის ტყვე მაინც იქნება ციხეში, ჩვენ ვერ ვიქნებით გამარჯვებულები.

იბსუს სტუდენტები აპროტესტებენ მმართველი ხელისუფლების მიერ მიღებულ ყველა უსამართლო გადწყვეტილებას.

მათი აზრით, ახლა სიჩუმე ყველაზე დიდი დანაშაულია და სწორედ ახალგაზრდებში არის ის ძალა, რომელიც შეცვლის მომავალს.

სტუდენტების მოთხოვნები, პოლიტიკური ჩართულობა და მიმდინარე აქტივობები არის ცვლილებების სანდარი და იმ ისტორიის ნაწილი, სადაც ძალიან ბევრი გმირია.

101-ე აუდიტორია კვლავ რჩება უნივერსიტეტში თავისუფლების კერად და მეზობელი სტუდენტების საცხოვრებელ სივრცედ.

ავტორი: ლიზა პაპასქუა




სტუდენტების პროტესტი - „დუმილი დანაშაულია“

ავტორი: თამარ როსტიაშვილი

სტუდენტები მთელი დღისა და ღამის განმავლობაში იმყოფებიან უნივერსიტეტის კამპუსში და ამ პროტესტით მოითხოვენ, რომ რექტორმა მკაფიოდ გამოხატოს თავისი აზრი და სოლიდარობა გამოუცხადოს თავის სტუდენტებს.

ქვეყანაში ჩატარებულმა არჩევნებმა საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც მოჰყვა ხალხის პროტესტი. სტუდენტებმა დაიწყეს გამოსვლები, რითიც გამოხატავენ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ უკმაყოფილებასა და უნდობლობას. ახალგაზრდები აპროტესტებენ მმართველი ძალის მიერ მიღებული გადწყვეტილებებს.



სტუდენტების უმრავლესობა თვლის, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები აფერხებს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას, მაგრამ თემაზე თუ ვინ შეიძლება იყოს ქვეყნის სათავეში მოცემული კანდიდატურებიდან და პარტიებიდან „ცუდსა და უფრო ცუდს შორის“, ერთ აზრზე ვერ შეჯერდნენ.

არჩევნების ჩატარების შემდეგ დაწყებულ გამოსვლებს სტუდენტებიც შეუერთდნენ და მოითხოვდნენ - როგორც ამ უსამართლობის აღკვეთას, ასევე, საკუთარი უნივერსიტეტების მხრიდან მხარდაჭერასა და პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირებას. ამას მთავრობის მხრიდან მოჰყვა რეაგირება და შედეგად დაიჭირეს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და ლექტორები. მათი დაჭერის მიზანი იყო ის, რომ

სტუდენტებს შეენწყვიტათ გამოსვლები, მაგრამ ამის მიუხედავად, ახალგაზრდები კვლავ აგრძელებენ პროტესტს.

სტუდენტური გამოსვლების დროს დაჭერილი სეუს, საქართველოს, ილიასა და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიდან ზოგი კვლავ დაკავებულია და პატიმრობა ემუქრება, სწორედ ამიტომ, სტუდენტებმა გამოაცხადეს უნივერსიტეტებში გაფიცვები. ისინი მთელი დღისა და ღამის განმავლობაში იმყოფებიან უნივერსიტეტის კამპუსში და ამ პროტესტით მოითხოვენ, რომ რექტორმა მკაფიოდ გამოხატოს თავისი აზრი და სოლიდარობა გამოუცხადოს თავის სტუდენტებს.

ისინი თვლიან რომ ახლა გაჩუმება და პოზიციის არ დაფიქსირება დანაშაულია. სტუდენტები გამოხატავენ უკმაყოფილებას არა მხოლოდ მთავრობის პოლიტიკის მიმართ, არამედ ქვეყანაში მიმდინარე დარღვევებზე, მათ შორის ახალგაზრდა აქტივისტების დაპატიმრებასა და მათი უფლებების დარღვევაზე.

ახალგაზრდების დაჭერა და მათ მიმართ განხორციელებული ძალადობა იქცა ერთ-ერთი მთავარ პროტესტის თემად.

ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ხმამაღლა აფიქსირებენ საკუთარ აზრსა და პოზიციას. სტუდენტები დაჭერილი ახალგაზრდების გათავისუფლებას მოითხოვენ და აცხადებდნენ, რომ „დუმილი დანაშაულია“.


ეს ყველაფერი ადასტურებს, იმას, რომ ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მზად არიან დაიცვან არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვების უფლებებიც.

სტუდენტების პროტესტი არის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ადამიანის თავისუფლებას, დემოკრატიასა და სამართლიანობას. სტუდენტები მიმართავენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საზოგადოებას, რათა ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვის პროცესს და უზრუნველყონ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

დუმილი დანაშაულია

ეს არის მონოღება, რომელიც გვახსენებს, რომ თანაგრძნობა და სამართლიანობა არ უნდა დარჩეს გამიჯნული მაშინ, როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებებს. სტუდენტების მიზანი არის არა მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის წინააღმდეგობა, არამედ - უკეთესი განათლებისა და უკეთესი სოციალური პირობების შექმნა.

პოლიტიკურ პროცესებში სტუდენტების აქტიური მონაწილეობის გარეშე, რთულია სრულფასოვანი დემოკრატიის ჩამოყალიბება, ამიტომ მათი ხმა ყოველთვის მნიშვნელოვანია და შესაბამისი მხარდაჭერა სჭირდება.



ფოტოროკორტაჟი

ავტორები: ნატა ჭილაძე; ნიკა რუხაძე



ლაგუნა ვერე ნლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დასასვენებელი და სპორტული ცენტრი იყო თბილისში, თუმცა, ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ეს ტერიტორია მნიშვნელოვნად დაეშვა და ფაქტობრივად მიტოვებულად მიიჩნევა. დაწყებული 2000-იან წლებში, ლაგუნა ვერეს ინფრასტრუქტურა დაზიანდა და გაუმართავი გახდა. კომპლექსის შენობები და საცურაო აუზები უფუნქციოდ დარჩა. არაერთი პროექტი და ინიციატივა გაჩნდა ამ ადგილის აღდგენის ან ხელახლა განვითარების მიზნით, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე მასშტაბური რეაბილიტაცია არ განხორციელებულა. მიტოვებული ლაგუნა ვერე დღემდე წარმოადგენს ქალაქის ურბანული სივრცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოტენციალს, თუმცა ამჟამად მისი მდგომარეობა ნაკლებად მიმზიდველია.



სტუდენტების დასაქმება საქართველოში - გამოწვევები და გამოკლავების მეთოდები

ავტორი: ანი არჯევანიძე

თანამედროვე მსოფლიოს დინამიკიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის პროფესიული გამოცდილების შეძენა და დამოუკიდებელი შემოსავლის მოპოვება მნიშვნელოვანი და აუცილებელია. საქართველოში ბოლო წლებში სტუდენტების დასაქმება აქტიუ-ლური საკითხი გახდა და მათთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენას განიხილავს სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი სექტორი. თუმცა, ამ პროცესს თან ახლავს გამოწვევები და ბარიერები, რომლებიც მნიშვნელოვნად აისახება სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და განათლების ხარისხზე.

სტუდენტების დასაქმება მრავალი მიზეზითაა მნიშვნელოვანი. ერთის მხრივ, დასაქმება სტუდენტებს აძლევს საშუალებას მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ განათლებასთან ერთად აუცილებელი იქნება მომავალ კარიერაში. პროფესიული უნარების განვითარება ხელს უწყობს ახალგაზრდების ბაზარზე ინტეგრირებას, მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და თვითრწმენას. ამასთანავე, დასაქმება დადებითად მოქმედებს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც ხშირად მნიშვნელოვანია მათი განათლების პროცესისთვის.

საქართველოში სტუდენტებისთვის პოპულარული დასაქმების ფორმებია:

1. ნახევარი განაკვეთი – სტუდენტები ხშირად მუშაობენ ნახევარი განაკვეთით, რაც ხელს უწყობს მათი სამუშაო და სასწავლო გრაფიკის ერთმანეთთან შეთავსებას.

2. სტაჟირება – სტაჟირება სტუდენტებისთვის დამსახურებული პრაქტიკული გამოცდილების მიღების და კონტაქტების შექმნის საშუალებაა. ამ ტიპის დასაქმება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ პროფესიულ გარემოს და გაიუმჯობესონ სამუშაო უნარები.

3. დისტანციური და ფლექსიბელური სამუშაოები – ციფრულ ეკოსისტემაში დისტანციური და ფლექსიბელური სამუშაოები უფრო პოპულარული გახდა. ბევრი სტუდენტი მუშაობს ონლაინ, რაც საშუალებას აძლევს იმუშაონ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სო, მარკეტინგი და ბლოგინგი.

სფეროები, სადაც სტუდენტები ხშირად საქმედებიან, მოიცავს მომსახურების სფეროს (მომსახურების ცენტრები, კაფეები, რესტორნები), განათლების სფეროს (რეპეტიტორობა, სწავლის ცენტრები) და ტექნოლოგიურ ინდუსტრიას (დეველოპმენტი, ციფრული მარკეტინგი, დიზაინი). სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებით საქართველოში არაერთი სირთულე არსებობს. ერთ-ერთი მთა-

ვარი გამოწვევა არის მოქნილი სამუშაო გრაფიკის არარსებობა. ბევრი კომპანია არ ითვალისწინებს სტუდენტების სასწავლო გრაფიკს, რაც პრობლემებს უქმნის მათთვის სწავლისა და მუშაობის შეთავსებაში. გარდა ამისა, ზოგიერთი დამსაქმებელი სტუდენტებს დაბალი ანაზღაურების პირობებს სთავაზობს, რაც მათ მოტივაციას აქვეითებს. კიდევ ერთი სირთულე არის სამუშაო გამოცდილების ნაკლებობა, რომელიც აბრკოლებს სტუდენტების კონკურენციაში ჩართვას. დამსაქმებლების დიდი ნაწილი იძებს გამოცდილ კადრებს, რაც აბრკოლებს სტუდენტების დასაქმებას. საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორი აქტიურად ცდილობს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ბოლო წლებში საქართველოს განათლების სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყებები ახორციელებენ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას. მაგალითად, არსებობს სტაჟირების პროგრამები, რომლებიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას მიიღონ გამოცდილება სხვადასხვა სამინისტროში ან სახელმწიფო საწარმოში. მაგრამ საინტერესოა რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა მსგავსი აქტივობები სტუდენტებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპასა და ამერიკაში სტუდენტს ეკრძალება კვირაში 20საათზე მეტი მუშაობა ამ დროს საქართველოში სტუდენტების უმეტესი ნაწილი მუშაობს სრულ გაკანვეთზე რაც კვირაში 40საათს გულისხმობს, დღეში კი რვა საათს. როცა სტუდენტი სამსახურში ატარებს რვა საათს, სამსახურის შემდეგ მიდის უნივერსიტეტში, ან პირიქით, როგორ ფიქრობთ მათი სწავლის ხარისხი ისეთივე იქნება როგორც სხვა ქვეყნებში? სამუხაროდ საქართველოში ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა სამსახურის გამო უწევთ სწავლისთვის თავის დანებება, რასგან ვერ უთავსებენ სწავლასა და მუშაობას ერთმანეთს.

სტუდენტების დასაქმების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც მოქნილ სამუშაო გრაფიკს, კონკურენტუნარიან ანაზღაურებასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს შესთავაზებს მათ. ასევე, სასურველია, რომ დამსაქმებლებმა ყურადღება გაამახვილონ ახალი თაობის საჭიროებებზე და შექმნან ისეთი სამუშაო პირობები, რომლებიც ახალგაზრდებს განათლებისა და დასაქმების წარმატებულ შეთავსებაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურია



სტუდენტებისთვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული შესაძლებლობების მხარდაჭერა. აუცილებელია მეტი ორგანიზაციის ჩართვა ამ პროცესში, რაც შექმნის უფრო მოქნილ და დამწყები კარიერებისთვის ხელსაყრელ სამუშაო ბაზარს საქართველოში.

ერთ-ერთი ქართველი სტუდენტის მაგალითი შეგვიძლია განვიხილოთ, რაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, რომ საქართველოში სტუდენტებისთვის შრომის კოდექსი არ არსებობს. სოფიო ქიმერიძე ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ რის ფასად უჯდებათ ჩვენს ქვეყანაში სრუდენტებს სწავლასთან ერთად მუშაობა. სოფიო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია.

„მუდმივად ვცდილობ, რომ ვიპოვო სამსახური, რომელიც უარს არ მათქმევინებს სწავლასა და კარიერულ განვითარებაში. იმის მიუხედავად რომ მესამე კურსზე ვარ და მინაჩნია რომ საკმარისი ცოდნა დამიგროვდა ჩემს პროფესიაში, სასურველ სამსახურში დასაქმება თითქოსდა და შეუძლებელი გახდა ჩემთვის. ყველა ითხოვს მინიმუმ ორ წლიან გამოცდილებასა და სრულ განაკვეთზე მუშაობას. არც ერთი დამსაქმებელი არ ითვალისწინებს ჩვენს ასაკს და არ გვაძლევს განვითარების საშუალებას. ამ მიზეზით მიწვევს ძირითადად მომსახურების სფეროში მუშაობა იმიტომ, რომ შემოსავალი მჭირდება არსებობისთვის. გასაუბრებაზე ყველა გვპირდება, რომ ხელს შეგვიწყობენ და სწავლაში ხელი არ შეგვეშლება, მაგრამ იქ მისულს სხვა რეალობა გვხვდება ყოველთვის, ვერც გავამტყუნებ, სტუდენტი რომელიც კვირაში ექვსი დღე მუშაობს რვა საათი, უნდა იცოდეს რომ სწავლა ვერ შეძლებს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვს“, - განაცხადა სოფიომ.

უნდა გვახსოვდეს, რომ სტუდენტების დასაქმება მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მათი პროფესიული და ეკონომიკური განვითარების, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების კუთხით. საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევა და სირთულეა, თუმცა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობით შესაძლებელია იმ ხელისშეწყობი გარემოს შექმნა, რომელიც სტუდენტებს შეუწყობს ხელს წარმატებული კარიერის დასაწყებად. მნიშვნელოვანია უფრო მეტი მოქნილობა და დახმარება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტების დასაქმების ხარისხს და მათ მისცემს წინსვლის უფრო რეალურ შესაძლებლობებს.

ფემინიზმისთვის ბრძოლა საქართველოში: სად ვართ დღეს?

ავტორი: ლეილა ტიმირბულატოვი

ბოლო წლების განმავლობაში, ფემინიზმი საქართველოში კვლავ აქტიურად განიხილება. ქვეყანაში სოციალური მედიის გავლენითა და გლობალური მოძრაობების მხარდაჭერით, ქალთა უფლებების საკითხი არა მხოლოდ აქტიუ-ური გახდა, არამედ საზოგადოების დიდ ნაწილში დებატების და განხილვის ცენტრში აღმოჩნდა. თუმცა, ამ თემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ უამრავი გამოწვევა რჩება, რომელიც ყოველდღიურობაში აშკარად იგრძნობა.

საქართველოში გენდერული უთანასწორობა არ არის ახალი, თუმცა, ამ საკითხზე ღიადა საუბარი მხოლოდ ბოლო ათწლეულში გახდა აქტიური. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქალები ჯერ კიდევ განიცდიან მნიშვნელოვან დისკრიმინაციას, განსაკუთრებით ეკონომიკურ და პროფესიულ სფეროში. ქალთა საშუალო ანაზღაურება ქვეყანაში 30%-ით ნაკლებია მამაკაცების ანაზღაურებასთან შედარებით. ეს ფაქტი განაპირობებს იმას, რომ ქალები ხშირად ნაკლებად მოტივირებული არიან კარიერულ ზრდაში, განსაკუთრებით იმ ინდუსტრიებში, რომლებიც უფრო ტრადიციულად მამაკაცებისადმი ორიენტირებული პოზიციებით არის დატვირთული.

საქართველოს ფემინისტური მოძრაობა დიდი ხანია ითხოვს თანასწორ ანაზღაურებას და გენდერული ბალანსის დაცვას სხვადასხვა სფეროში. ორგანიზაციები, როგორიცაა “საფარი” და “ქალთა ფონდი”, მუდმივად მოუწოდებენ საზოგადოებასა და ხელისუფლე-

ბას, აქტიური ზომები მიიღონ ამ მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია გარკვეული პროგრესი, მაგალითად, ახალი კანონი, რომელიც ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას მოიცავს, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საკანონმდებლო რეგულაციები ქალთა უფლებების დაცვის სრულად უზრუნველყოფისთვის.

2023 წელს ფემინიზმის შემთხვევებს საქართველოში კვლავ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები კვლავაც ხშირად გვხვდება ახალ ამბებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას. ეთოო მოძრაობის გავლენით, ქალებმა უფრო აქტიურად დაიწყეს პირადი ისტორიების გაზიარება, რითაც გაძლიერდა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიები. მიუხედავად ამისა, ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობა კვლავ დუმს, შიშის, სირცხვილის ან საზოგადოების მხრიდან შეფასების გამო.

2023 წელს ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა იყო, როდესაც ქალმა სოციალური ქსელების მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია მისი პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა და გამოიწვია საზოგადოების ფართო მხარდაჭერა ქალის მიმართ.

ასევე, ბევრმა აქტივისტმა და ფემინისტურმა ჯგუფმა ახალი კამპანიები წამოიწყო, რათა ყურადღება გამახვილებულიყო საკანონმდებლო ცვლილებებზე და ძალადობის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

ახალგაზრდა თაობა საქართველოში უფრო მეტად ხდება ჩართული ფემინისტურ მოძრაობაში, განსაკუთრებით სოციალური მედიის გავლენით. ინსტაგრამი, ფეისბუკი და ტიკტოკი გახდა სივრცე, სადაც ახალგაზრდა ფემინისტები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას და ცდილობენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. განსაკუთრებით შესამჩნევია ის, რომ სტუდენტური მოძრაობები ფემინიზმის შესახებ უფრო აქტიური ხდება და ხშირად აწყობს დისკუსიებსა და პანელებს სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ფემინისტური იდეები ხშირად აღიქმება, როგორც ბრძოლა არა მხოლოდ ქალთა უფლებებისთვის, არამედ ზოგადად გენდერული სტერეოტიპების გარღვევისთვის. ახალგაზრდების მხარდი ჩართულობა მიუთითებს, რომ მომავალი თაობა უფრო მეტადაა დაინტერესებული თანასწორობის საკითხებით და სურს ცვლილებების დანერგვა, როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ ფემინიზმს საქართველოში ბევრი მხარდაჭერი ჰყავს, კრიტიკაც არ აკლია. ზოგიერთი ადამიანი ფემ-

ინიზმს ზედმეტად რადიკალურ მოძრაობად მიიჩნევს და მიაჩნია, რომ ქალები უკვე საკმარისად სარგებლობენ უფლებებით. ასეთი პოზიცია ხშირად გვხვდება ტრადიციულად კონსერვატიულ საზოგადოებაში, სადაც გენდერული როლების მკაცრად განსაზღვრა ჯერ კიდევ დამკვიდრებულია.

ფემინისტური მოძრაობის კრიტიკოსები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ “თანასწორობა” უკვე მიღწეულია და ფემინიზმი თანამედროვე სამყაროში საჭირო აღარ არის. თუმცა, ფემინისტები პასუხობენ, რომ გენდერუ-

ლი უთანასწორობა ჯერ კიდევ არსებობს და მას სჭირდება როგორც სოციალური, ისე სამართლებრივი ჩარევა.

ფემინიზმი საქართველოში აქტიურად განაგრძობს განვითარებას და მისი გავლენა ყოველდღიურად იზრდება. ახალგაზრდა თაობა, აქტივისტები და უფლებადამცველი ორგანიზაციები ცდილობენ, რომ გენდერული თანასწორობის იდეა უფრო ფართოდ გავრცელდეს და საზოგადოებაში სტერეოტიპები დაინგრეს. თუმცა, წინ ჯერ კიდევ გრძელი გზაა.

ცვლილებების მიღწევას სჭირ-

დება დრო, მუდმივი ბრძოლა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და თანასწორობის იდეა რეალობად იქცეს.

უკანონო გაშვილების მემკვიდრეობა: როგორ პოულობენ ერთმანეთს დაკარგული ოჯახის წევრები...

ავტორი: ლაშა ნოზაძე

საქართველოში ათწლეულების წინ გაშვილებული ბავშვების ისტორია, რომლებმაც არ იცოდნენ თავიანთი ნამდვილი ოჯახების შესახებ, კვლავ აქტუალური და მტკივნეული თემაა. ორგანიზაცია „ვეძებ“ ცდილობს დაეხმაროს ამ ადამიანებს, რომლებიც ეჭვობენ, რომ უკანონოდ იყვნენ გაშვილებულნი ბიოლოგიური მშობლების პოვნაში. ეს პრობლემა წლების განმავლობაში ჩუმად არსებობდა, თუმცა ბოლო დროს უფრო მეტმა ადამიანმა დაიწყო სიმართლის ძიება. სტატიაში გადმოცემულია, თუ, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი და როგორ პოულობენ ერთმანეთს ოჯახის წევრები.

საქართველოში არ არსებობს ორგანო, საინფორმაციო ცენტრი ან სააგენტო, სადაც შეგიძლიათ დარეკოთ და მოითხოვოთ დახმარება ასეთი საკითხების გადაჭრაში: “გამარჯობა, გავიგე, რომ გაშვილებული ვარ, სად მივიდე? რა დოკუმენტები უნდა წარვადგინო და როგორ ვიმოქმედო?” — არავინ არ გაძლევს ასეთ რჩევას ან მიმართულებას, — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეძებ“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი მარიამ ნოზაძე საუბრისას. ორგანიზაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ სოციალურ ქსელში გაჩნდა ჯგუფი იმავე სახელწოდებით, სადაც უკანონოდ გაშვილებული ადამიანები თავიანთ ბიოლოგიურ მშობლებს ეძებდნენ, ხოლო მშობლები, რომელთაც ბავშვები გარდაცვლილებად ჩათვალეს, დაკარგული შვილების ძებნას იწყებდნენ.

მარიამ ნოზაძის თქმით, მათი საქმიანობა დაიწყო ერთი პიროვნების დახმარებით, რომელიც ეჭვობდა, რომ ის უკანონოდ იყო გაშვილებული. ამ ეჭვებმა მოგვიანებით გამოავლინა სქემები, რომელიც 1950-2005 წლებში მშობიარობიდან ჩვილების უკანონო გაყიდვა-გაშვილებას ეხებოდა. **„ერთი ადამიანი დაგვიკავშირდა, ვიპოვეთ მისი ბიოლოგიური დედა, მაგრამ ეს ქალი ძალიან წინააღმდეგი იყო და არ აღიარებდა ბავშვის არსებობას, რადგან მიაჩნდა, რომ მისი შვილი გარდაიცვალა.** ეს ინფორმაცია გინეკოლოგმა მიიწვია, თუმცა გენეტიკური ანალიზმა დაადასტურა, რომ ისინი დედა-შვილი იყვნენ. ეს ქალი შოკში ჩავარდა, რადგან წლების წინ ექიმმა უთხრა, რომ მისი შვილი მკვდარი დაიბადა,“ - განაცხადა მარიამ ნოზაძემ.

მისივე თქმით, ირკვევა, რომ **ათწლეულების განმავლობაში თბილისში და რეგიონებში დაბადებული ათასობით ბავშვის მშობლებს ატყობინებდნენ, რომ მათი შვილები გარდაიცვალნენ და ჩვილები სამშობიაროების სასაფლაოებზე დაკრძალეს. სინამდვილეში კი, მათ ბავშვებს უკანონოდ აშვილებდნენ ფულის სანაცვლოდ.** მშობლებთან ურთიერთობისას მანიპულაციას იხმარდნენ. 3 დღის შემდეგ, როდესაც გავიდოდა, ეტყოდნენ მშობლებს, რომ თქვენი შვილი გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ვერც განახებთ, ვერც გაგატანთ, იმიტომ, რომ ასეთ კანონია, და კანონი იმასაც გვავალდებულებს, რომ ჩვენს საკუთარ სასაფლაოზე დავეკრძალოთ. - ესეთი კანონი არარსებობდა, და არც სასაფლაო არ ჰქონდათ არცერთ სამშობიაროს. ასევე მათ გრძნობებზე თამაშობდნენ და ეუბნებოდნენ ისეთ მშობლებს, ვისაც 1 შვილი ჰყავდა, რომ თქვენ მიანც გყავთ ერთი შვილი, და ახლა ეს რომ გაგატანოთ, მერე მოგინევთ ყოველთვის საფლაოზე სიარული, სულ უნდა გაგახსენდეთ ეს ავბედითი ისტორია, - სწორედ ასეთი სიტყვებით ახდენდნენ მათზე ზეგავლენას; თუმცა რეალურად, როგორც ზემოთაა აღნიშნული, არანაირი კანონი და სასაფლაო არ არსებობდა.

ორგანიზაცია „ვეძებ“-ის წევრებმა ჰერმესის სასაფლაოზეც იმუშავეს და გაირკვა, რომ მათთვის ბავშვებისთვის გამოყოფილი ადგილები არ არსებობ-

და. ასევე გაირკვა, რომ 2005 წლამდე არცერთ სამშობიაროს არ ჰქონდა ხელშეკრულება ასეთ დაკრძალვებთან დაკავშირებით.

ბევრმა სამშობიარო უარყო სასაფლაოს არსებობა და თქვეს, რომ მსგავსი ფაქტები არ მომხდარა. მეორე სამშობიარო თქვა, რომ მათ ჰერმესთან [სასაფლაოს მფლობელი დამკრძალავი ბიურო] ჰქონდათ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ჰერმესის წარმომადგენელი კვირაში ერთხელ ბავშვებს კრძალავდა. მაგრამ ეს ინფორმაცია ტყუილი აღმოჩნდა- აცხადებს მარიამ ნოზაძე.



მარიამ ნოზაძე

მარიამი აღნიშნავს, რომ უკანონო გაშვილების შესახებ მოკვლევის დანყების შემდეგ მათ ესაუბრა თბილისის მეორე სამშობიაროს ერთ-ერთი გარდაცვლილი გინეკოლოგის შვილს, რომელსაც დედამ გარდაცვალებამდე გაუშვილა, როგორ ატყობინებდნენ მშობლებს, რომ მათი შვილები გარდაიცვალნენ, სინამდვილეში კი მათ ბავშვებს უკანონოდ ყიდდნენ, ხოლო გარდაცვლილთა ცხედრები აჩვენებდნენ მშობლებს.

ჩვილების უკანონოდ გაყიდვის სქემები:

რთულიდასადგენია, ათწლეულების განმავლობაში კონკრეტულად რომელი სამშობიაროები იყვნენ, ან არ იყვნენ ჩართული ჩვილების გაყიდვა-გაშვილების სქემებში. დანაშაულში ყველაზე აქტიურად თბილისის პირველი და მეორე სამშობიაროები იყვნენ ჩართული, თუმცა არსებობდა საქალაქთაშორისო სქემაც. ხშირ შემთხვევაში, კვალის ასარეკად და სამომავლო ნათესაური კავშირების თავიდან ასარიდებლად, კახეთის სამშობიაროდან ჩვილები სამეგრელოს სამშობიაროში გადაჰყავდათ, ქობულეთიდან და ბათუმიდან – კახეთში, რუსთავიდან - ქუთაისში და ასე შემდეგ.

მაგალითად, ვეძების ერთ-ერთი დამფუძნებელი ამბობს, რომ ქუთაისში გაყიდულია რამდენიმე გოგონა, რომელთა ბიოლოგიურ დედად დოკუმენტებში ერთი და იგივე – მადლენა ჩიქობავას სახელია შეყვანილი; თუმცა დნმ-ტესტით დადგინდა, რომ ისინი დები არ არიან. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეძებ“-მა დაადგინა, მადლენა ქუთაისის ბავშვთა სახლის დირექტორის სახელია, ხოლო ჩიქობავა ზესტაფონის სამშობიაროს დირექტორის გვარია; საბუთებში ინერებოდა ერთი ადამიანის სახელი და მეორე ადამიანის გვარი, როგორც ბიოლოგიური მშობელი, და ინერებოდა მათი გაშვილების ოფიციალური ნებართვა.

რა თქმა უნდა, ორგანიზაცია „ვეძებ“ ეხმარება ამ ადამიანებს თავისი ბიოლოგიური მშობლების პოვნაში. ტექნოლოგიური პროგრესი და დნმ-ის ტესტების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად შეცვლიდა დაკარგული ნათესავების პოვნას. ამ ტესტების საშუალებით ადამიანები ადვილად იკვლევენ თავიანთ წარმომავლობას და ახლო ნათესავების არსებობას. ეს პროცესი არა მხოლოდ ოჯახის ისტორიას გამოააშკარავებს, არამედ ხშირად მოულოდნელ ურთიერთობებსაც

სთავაზობს, რაც ემოციური და ამაღელვებელი გამოცდილებაა.


როცა ამ ორგანიზაციას მიმართავს ადამიანი, ისინი აცნობენ გეგ-

მას, თუ როგორ ხდება ბიოლოგიური მშობლების პოვნა. **პირველ რიგში, საჭიროა დნმ-ის ტესტი, რომელსაც „ანექსტრი“ ქვია. როდესაც ამ ტესტს გაიკეთებს ადამიანი, ამ ტესტს აქვს თავისი ბაზა, და აუცილებლად რეგისტრირდებიან; ამ ტესტზე დატანილია უნიკალური კოდი, ამ კოდს აუცილებლად უნდა წაიღოთ საიტზე, ხოლო ამის შემდეგ თქვენი დნმ-ის პასუხი იქ ისახება, და თუ ვინმე თქვენი ნათესავი გას-მიაკვეთა, აუცილებლად ამოგივარდება აპლიკაციაში.** დედმაჩი კი მსოფლიო ბაზაა და იქაც ვარდება თქვენი დნმ, და აქ უკვე მსოფლიოს მასშტაბით ხდება ძებნა.

მარიამი გვიყვება იმასაც, რომ ზოგს ეგრევე რომ არ უფარდება ნათესავები, შვილები და ასე შემდეგ, ფარხმალს იყენებენ, მაგრამ ეს ასე სულაც არაა; შეიძლება ტესტის გაკეთებიდან მე-5 წელს ამოვარდეს ვინმე. ეს ტესტი სულ განახლებადია, რადგან ვინ როდის გაიკეთებს, არავინ იცის; და თუ თქვენი ტესტის ასახვის დღიდან 10 წლის შემდეგ გაიკეთა ვინმე თქვენი დნმ-ის მქონემ, აუცილებლად ამოვარდება ამდენიხნის შემდეგაც. ამიტომ ყურადღება საჭიროა. ასე უამრავი შვილი და მშობელი არის ნაპოვნი.

ჩვენი ორგანიზაციის დაარსების შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. ადრე საზოგადოებაში „ნაშვილებობა“ სირცხვილად ითვლებოდა და წამოაძახებდნენ კიდეცაც მეზობლები და კლასელები ამ ფაქტს, როგორც დაცინვისა და დამცირების აღსანიშნავად. ჩვენი ორგანიზაციის ძალიან დიდი ბრძოლის შედეგად, ხალხთან საუბრის შედეგად მოხდა ის, რომ ეს ყველაფერი არა დამცინავად და სირცხვილად, არამედ პრობლემად აღიქმება ახლა, და ყველა ეხმარება ასეთ ადამიანებს სიმშვიდის დაუფლებასა და ოჯახის პოვნაში.

ეს ისტორიები აჩვენებს, თუ რამდენად ღრმა და ემოციურია ოჯახის ძიების პროცესი იმ ადამიანებისთვის, ვინც ბავშვობაში უკანონოდ გაშვილდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმართლის პოვნა ხშირად რთული და ხანგრძლივია, ბევრისთვის ეს გზა საბოლოოდ შევებას და კავშირის აღდგენას ნიშნავს. ასეთი ისტორიები ნათლად ასახავს, რომ წარსულის საიდუმლოებების გახსნა შესაძლოა ოჯახის დაბრუნებისა და შინაგანი სიმშვიდის მიღწევის საფუძველი გახდეს.



საპროექტო ანონი
022480000000488748285GEL



f ვეძებ

Group by Tamuna Museridze

ვეძებ (vedzeb) searching for biological family >

Public group · 279.8K members

კლუბური ნარკოტიკები და საქართველოს მდგომარეობა კლუბური ნარკოტიკების მხრივ

ავტორი: ირინე ჯაფარიძე

კლუბური ნარკოტიკები თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და საფრთხის შემცველ პრობლემას წარმოადგენენ, განსაკუთრებით ახალგაზრდების გარემოში. კლუბური ნარკოტიკების ხმარება ხშირია კლუბებში, რეველებში და სხვა სოციალურად აქტიურ სივრცეებში, სადაც მუსიკა და თავისუფალი ატმოსფერო ხელს უწყობს მათი მოხმარების პოპულარიზაციას. საქართველოს მდგომარეობა ამ მხრივ საკმაოდ სავსებითაა და ერთდროულად შემდგომი და რადიკალიზაციის განმავლობაში კლუბური ნარკოტიკების მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამასთანავე დაკავშირებული გამოწვევები და კანონიკური



მიდგომები იძენს ახალ ფორმებს.

კლუბური ნარკოტიკები (ასევე ცნობილი, როგორც „პარტი ნარკოტიკები“ ან „რეივ ნარკოტიკები“) არის ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადად კლუბურ გარემოში, სადაც ხმამაღალი მუსიკა, ნათელი განათება და არასტანდარტული ატმოსფერო ხშირად აფრთხობს გრძნობებს და სტიმიულირებს სხეულის აქტიურობას.

ასეთ ნარკოტიკებს მიეკუთვნება:

- ექსტაზი – ყველაზე ცნობილი კლუბური ნარკოტიკი, რომელიც იწვევს ეიფორიის, ემპათიისა და ენერგიის მომატებას.
- მეტამფეტამინები – სტიმულატორი, რომელიც იწვევს დიდ ენერგიას და კონცენტრაციას.
- კეტამინი – გამოიყენება როგორც ანესთეზია, მაგრამ კლუბებში იწვევს დისოციაციას, ჰალუცინაციებს და დროის აღქმის შეცვლას.

• და – სითხის ფორმაში არსებული ნარკოტიკები, რომლებიც ცნობილია თავისი დამამშვიდებელი და სექსუალური ეფექტებით. კლუბური ნარკოტიკები უფრო მეტად გამოიყენება ახალგაზრდებში, რომლებიც ეძებენ მოჭარბებულ ემოციებსა და უჩვეულო გამოცდილებას. თუმცა, მათი მოხმარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას და ხშირად იწვევს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას.

საქართველო, როგორც გლობალური ტენდენციების ნაწილი, ბოლო წლებში დადგა კლუბური ნარკოტიკების გავრცელების საფრთხის წინაშე. ქალაქებში, როგორცაა თბილისი, ბათუმი და სხვა მსხვილი ცენტრალური, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ღამის კლუბები და მუსიკალური ფესტივალები, სადაც ნარკოტიკების მოხმარება ხშირია. მთავარი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში კლუბური ნარკოტიკების მოხმარების კულტურა უფრო მეტად აკრძალულია და მკაცრ კანონიკურ ჩარჩოებში იმყოფება, რაც ხშირად უფრო რადიკალური მიდგომები-სკენ უბიძგებს მომხმარებლებს.

რაც შეეხება, კლუბური ნარკო-



ტიკების გავრცელების ფაქტორები საქართველოში:

1. კლუბური კულტურის ზრდა – ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დაინერგა დასავლური კლუბური კულტურა, რაც მოიცავს ღამის კლუბებში უფრო თავისუფალი და ეგზოტიკური გარემოს შექმნას. ამ პროცესმა წარმოშვა გარემო, სადაც ახალგაზრდები ეძებენ სიამოვნებასა და მოჭარბებულ გამოცდილებებს, რაც ხშირად ასოცირებულია ნარკოტიკების მოხმარებასთან. 2. ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა – განსაკუთრებით ბოლო წლებში კლუბური ნარკოტიკების შემცველობა და ხელმისაწვდომობა გაიზარდა. გავრცელება ხდება სხვადასხვა არხით, მათ შორის ონლაინ ვაჭრობის საშუალებებითა და არალეგალური ბაზრებით. ეს აჩენს ახალი ტიპის რისკებს, რადგან მომხმარებლები ხშირად არ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს კონკრეტული ნარკოტიკი. 3. კანონიკური გარემო – საქართველოს ნარკოპოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია რეგიონის მასშტაბით. 2018 წელს სამართალდამცავების მიერ დრამატული ჩარევის ფონზე,

ახალგაზრდების პროტესტმა განაპირობა ნარკოტიკების მოხმარების რეგულაციის გადახედვა. თუმცა, დღემდე არის მნიშვნელოვანი დაპირისპირება სახელმწიფოს და საზოგადოების იმ ნაწილს შორის, რომელიც ნარკოტიკების ლიბერალიზაციას ემხრობა. 4. განათლების დეფიციტი – კლუბური ნარკოტიკების მოხმარება ხშირად ხდება ინფორმაციის ნაკლებობის ფონზე. ახალგაზრდები არ არიან სრულად ინფორმირებული ნარკოტიკების რეალურ საფრთხეზე, მათ შორის ჯანმრთელობის გრძელვადიან შედეგებზე. ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრობლემა, ასევე, უკავშირდება სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, როგორცაა სტრესის მართვის უუნარობა ან სოციალური წნეხი.

კლუბური ნარკოტიკები არამხოლოდ იწვევს მყისიერ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ეფექტებს, არამედ ქმნის სერიოზულ გრძელვადიან საფრთხეს. მოხმარების შედეგად შესაძლებელია დამოკიდებულება. კლუბური ნარკოტიკები ხშირად იწვევენ ძლიერ დამოკიდებულებას, რაც გავლენას ახდენს როგორც პირად ცხოვრებაზე, ასევე სოციალურ და პროფესიულ საქმიანობაზე.

• **ფსიქიკური პრობლემები – ხშირი გამოყენება იწვევს შფოთვის, დეპრესიას, ფსიქოზურ მდგომარეობებსა და სხვა ფსიქიკურ დარღვევებს.**

• **სოციალური პრობლემები – ნარკოტიკების მოხმარება ხშირად ხდება კრიმინალური სამყაროს ნაწილისგან და მომხმარებლები შეიძლება გახდნენ სამართალდარღვევის მონაწილე.**

საქართველოში კლუბური ნარკოტიკების საკითხი არ არის მხ-

ოლოდ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადაჭრილი საკითხი. პრევენციის და ინფორმირებულობის გაზრდის კუთხითაც სხვადასხვა ნაბიჯები იდგმება. ეს მოიცავს:

• **განათლებისა და ინფორმირებულობის კამპანიები – სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და აქტივისტები ცდილობენ გაზარდონ ახალგაზრდების ინფორმირებულობა ნარკოტიკების ზიანის შესახებ.**

• **რეფორმების განხილვა – ნარკოტიკების მოხმარების რეგულაციის შესახებ საუბარია სხვადასხვა ფორმატში. ზოგიერთი მხარე მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს ლიბერალიზაცია და მეტი ყურადღება გამახვილდეს ნარკომანიით დაავადებულების მკურნალობაზე, ვიდრე მხოლოდ მათი დასჯაზე.**

ამრიგად, კლუბური ნარკოტიკების მოხმარება საქართველოში სერიოზულ გამოწვევად იქცა, რომელიც მოითხოვს გრძელვადიან და კოორდინირებულ მიდგომას. ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მკაცრი კონტროლის მექანიზმები და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება კრიტიკული მნიშვნელობისაა, რათა შემცირდეს ამ პრობლემის გავლენა საზოგადოებაზე. ნარკოპოლიტიკის რეფორმა, ნარკომანიაზე დამოკიდებულების მკურნალობა და საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობა – ეს არის გზები, რომელთა გავლითაც შესაძლებელი იქნება ამ პრობლემის მეტ-ნაკლებად გამარტივება და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.

შურნალისტებზე ძალადობა საქართველოში

ავტორი: ელენე ქარქაშაძე

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ჟურნალისტებზე ძალადობის შემთხვევები მნიშვნელოვნად გახშირდა. მიუხედავად იმისა, რომ მედია დემოკრატიული საზოგადოების მთავარი საფუძველია და თავისუფალი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია საზოგადოების განვითარებისთვის, ამ პროფესიაში დასაქმებულები ხშირად არიან ზენოლის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ამ საკითხის სერიოზული რისკები ახლავს, რადგანაც ჟურნალისტების შეურაცხყოფა და ფიზიკური დაზიანებები ზიანს აყენებს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ მედიაგარემოს მთლიანობაში.

ჟურნალისტები საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან და მოქალაქეებს საშუალებას აძლევენ, ჰქონდეთ ცხადი სურათი მიმდინარე მოვლენებზე. თუმცა, ამავდროულად, მათ უწევთ მუშაობა რთულ პირობებში, სადაც ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა. საქართველო, როგორც დემოკრატიული ქვეყანა, სადაც მედიის თავისუფლება აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, ხშირად აწყდება პრობლემებს ჟურნალისტების მიმართ არსებული ძალადობის კუთხით.

ჟურნალისტებზე ძალადობა ხშირად სხვადასხვა ფორმით ვლინ-

დება, მათ შორის არის სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, ფიზიკური ზეწოლა და დაპატიმრება. ბოლო წლებში არაერთი ჟურნალისტი გახდებოდა სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი საპროტესტო აქციებზე ან საჯარო ღონისძიებებზე. ეს შემთხვევები განსაკუთრებით იმატებს, როცა ქვეყანაში პოლიტიკურად ან სოციალურ-ეკონომიკურად დაძაბული სიტუაციაა.

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შემთხვევა იყო 2021 წლის 5 ივლისს, როდესაც „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში მარშის წინააღმდეგ მომზადებული აქციის დროს ჟურნალისტი იქნენ სამიზნე. თავდასხმის შედეგად არაერთი მედიის წარმომადგენელი დაზიანდა და მათგან რამდენიმე ჰოსპიტალიზაციასაც საჭიროებდა. ამ შემთხვევამ ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია სერიოზულად დააზარალა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება მიიქცია, რომლებიც კრიტიკულად აფასებდნენ საქართველოში მედიაგარემოს მდგომარეობას.

საქართველოში ჟურნალისტებზე ძალადობის ძირითადი მიზეზები მრავალფეროვანია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის საზოგადოების პოლარიზაცია და პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც

იწვევს მედიის წარმომადგენლების მიმართ ნეგატიურ განწყობას. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჟურნალისტებს მთავრობის ან ოპოზიციის მომხრეებად განიხილავს, რაც იწვევს არამართებულ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, დაბალი ჟურნალისტების პროფესიული დაცულობა, რაც მათ უფრო მოწყვლადს ხდის ძალადობის მიმართ.

ამგვარი შემთხვევები სერიოზულ ზიანს აყენებს არა მხოლოდ დაზარალებულ ჟურნალისტებს, არამედ მედიაგარემოს მთლიანობაში. ძალადობის შედეგად, მედიაკომპანიები ხანდახან თავს იკავებენ მტკიცებულებების მომზადებისგან, რაც ამცირებს საზოგადოების ინფორმირებულობას. გარდა ამისა, ჟურნალისტების დაშინება იწვევს თვითცენზურის განვითარებას, რაც მნიშვნელოვან რისკს უქმნის ქვეყნის დემოკრატიას.

ჟურნალისტებზე ძალადობის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს, საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კანონის ძალით ჟურნალისტების დაცვა და ძალადობის ყველა შემთხვევა მკაცრად გამოიძიოს. ეს ხელს შეუწყობს ისეთ გარემოს შექმნას,

სადაც ჟურნალისტები შეძლებენ უსაფრთხოდ მუშაობას და საზოგადოების ინფორმირებას. აუცილებელია, საზოგადოებამ და მთავრობამ აღიაროს ჟურნალისტების როლი დემოკრატიის შენარჩუნებაში და უზრუნველყოს მათი თავისუფალი მუშაობა.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობაც. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მედიის თავისუფლებას აკვირდებიან, როგორც ნეისი, აღნიშნავენ, რომ ქვეყნის განვითარებისკენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჟურნალისტებზე ძალადობის აღმოფხვრა და სიტყვის თავისუფლების დაცვაა.

ჟურნალისტებზე ძალადობა საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე. მედიის წარმომადგენლების დაცვა აუცილებელია სიტყვის თავისუფლების შესანარჩუნებლად და მოქალაქეების ინფორმირების უზრუნველსაყოფად. საქართველოს სჭირდება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ჟურნალისტებმა უსაფრთხოდ შეძლონ მუშაობა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება.



მკურნალობის მნიშვნელობა თამაშდამოკიდებულების დროს

რომელია მკურნალობის ყველაზე ახალი, შედეგიანი და ბიუჯეტური მეთოდი?

ავტორი: ელენე სავანელი



ჩვენი მთავარი მიზანია ისაა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს, რომ დამოკიდებულება არ არის განაჩენი - ამბობს ვაჟა კასრელიშვილი.

ვაჟა კასრელიშვილი

საქართველოში, დღესდღეობით, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების მოსახსნელად მკურნალობის მრავალ მეთოდს იყენებენ. თუმცა, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენად ხელმისაწვდომი და შედეგიანია იგი საზოგადოებისთვის.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება (იგივე ლუდომანია), ბოლო წლებში, მეტი ყურადღების ცენტრში მოექცა. თამაშდამოკიდებულთა რიცხვი, განსაკუთრებით, Covid 19-მა გაზარდა, როცა ხალხმა ონლაინ საიტებზე თამაში დაიწყო. სწორედ ასე იწყება ჩვენი რესპონდენტის დამოკიდებულება.

26 წლის ანანო (გვარს არ ვასახელებთ, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე), თავდაპირველად, მარტივი ონლაინ თამაშებით შემოიფარგლებოდა, ე.წ. სპინებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ჩნდება დამოკიდებულება, დამოკიდებულებასთან ერთად კი მოთხოვნა: „ვერც გავიაზრე უწყინარი თამაში როგორ გადაიზარდა ამხელა ვალეზში, ამდენ პრობლემაში. მაშინ გზა დავკარგე“ ანანომ ჯერ კიდევ 2020 წელს დიდი რაოდენობით თანხა წააგო ერთ-ერთ ონლაინ კაზინოში, რის შემდეგაც საზღვარგარეთ წასვლა მოუწია: „იმის ფიქრით, რომ ახლა მოვიგებ, ახლა მოვიგებ, იმდენი ფული წავაგე, გადავწყვიტე იტალიაში წავსულიყავი და ვალეზი დამეფარა. ვშრომობდი და ჩემი შრომა უბრალოდ ქრებოდა. საქართველოში რამდენიმე თვის წინ დავბრუნდი, თუმცა დამოკიდებულება კვლავ მაქვს და ხანდახან ისევ ვთამაშობ.“ აზარტული

თამაშების ყველაზე დიდი ცდუნება სწორედ ისაა, რომ თავიდან ყველა იგებს და აზარტში შედის, მერე კი წაგებას წაგება მოჰყვება.

ანანო ერთადერთი ადამიანი არაა, ვისაც თამაშდამოკიდებულების გამო საზღვარგარეთ წასვლა მოუწია. სოციალური ქსელის მეშვეობით დაეუკავშირდით ადამიანს, რომელიც 16 წელია თამაშობს და 7 წელია პოლინეთში იმყოფება: „ლუდომანიას ყველაზე ცუდი იცით რა აქვს? ძალიან კარგად იაზრებ, რომ შენ თავსაც აზიანებ და გარშემოყოფებაც, მაგრამ მაინც ვერ ჩერდები.“ ჩვენი რესპონდენტი ცხადად გამოყოფს იმ ფაქტს, რომ თამაშში მარტო ფულს არ კარგავ, არამედ იკარგება ურთიერთობები ოჯახთან, მეგობრებთან, იკარგება კომუნიკაცია და სოციალიზაცია: „რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვიკეტებოდი და ვგრძნობდი, რომ გარშემო ყველას ვკარგავდი. ჩემი ოჯახიც კი, რომელიც ძალიან მენდობოდა ყოველ კვირას წერილს მწერს - ისევ თამაში დაიწყო.“

ორივე რესპონდენტთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ოჯახის როლი და მნიშვნელობა. ამას გვიდასტურებს სარეაბილიტაციო ცენტრ „თანადგომის“ თანადამფუძნებელი, ვაჟა კასრელიშვილიც: „იმისათვის, რომ ადამიანმა ბრძოლა დაიწყო გემბლინგთან, და ზოგადად დამოკიდებულებასთან, მათ, პირველ რიგში, სჭირდებათ ოჯახის მხარდაჭერა.“ იგი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ოჯახმა გაიაროს ე.წ. თანადამოკიდებულების გაანალიზების პროგრამა. „თანადგომის“ კი ეს კურსი ოჯახის წევრებისთვის უფასოდ

აქვს.

სწორედ მკურნალობის პროცესია ის მნიშვნელოვანი დეტალი, საიდანაც იწყება ე.წ. „ლომკის“ მოხსნა. ეს, ძირითადად, ხდება მედიკამენტური ჩარევით, თუმცა მკურნალობა მოიცავს სხვა ბევრ ეტაპსაც. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არ არსებობს უნივერსალური მკურნალობა და ყველა ადამიანს სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა. მედიკამენტურ მკურნალობას მოჰყვება მეორე ეტაპი, რაც გულისხმობს რეაბილიტაცია-აღდგენას. ხშირად დამოკიდებულებას თან სდევს ფსიქიკური აშლილობაც, ტრავმები და წინაპირობები. აქედან გამომდინარე, მკურნალობის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოგნიტურ-ბიჰევიორ თერაპიას (ე.წ. სიბიტს), რომელიც გულისხმობს კოგნიტური მეთოდების ინტეგრაციას ქცევით თერაპიასთან და იგი ითვლება ყველაზე შედეგიანად. ვაჟა კასრელიშვილის თქმით, მათი მკურნალობის სტანდარტები ეფუძნება 2020 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ნარკოტიკული კონტროლის პროგრამის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოს. ეს გულისხმობს დამოკიდებულებაზე კომპლექსურ მიდგომას და თერაპიის სხვადასხვა მეთოდს, რის მიხედვითაც მიმდინარეობს მკურნალობა.

თავდაპირველად, დამოკიდებულების სიმძიმის ინდექსით - სპეციალური შეფასების სახელმძღვანელო ინსტრუმენტით, განისაზღვრება დამოკიდებულების სიმძიმე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია,

რადგან, როგორც წესი, დამოკიდებულება არ არის განყენებული და ეს ინსტრუმენტი იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულფასოვანი წარმოდგენა შეგვექმნას ამ კონკრეტულ მაგალითზე.

მეორე ეტაპი არის თერაპიის ინდივიდუალური გეგმის შედგენა. აქ უნდა განისაზღვროს კონკრეტული მიზანი, მიდგომა, ასევე ორმაგი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება როგორც ორგანიზაციას, ასევე პიროვნებას. მკურნალობის პროცესში ჩართვისთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, რომ დაესწროს შეხვედრებს, შეასრულოს დავალებები და ის რეკომენდაციები, რომელსაც ცენტრი განუსაზღვრავს.

მესამე ეტაპი - თერაპიის დანყება, რომელიც, თავისმხრივ, მრავალფეროვნებით გამოირჩევა და დამოკიდებულია კონკრეტულ მაგალითზე. აქ შედის: ინდივიდუალური თუ ჯგუფური თერაპიები, ლექციები, ე.წ. არტ-თერაპია, სათემო თერაპია (რაც ნიშნავს, რომ პირთან მუშაობენ ინსტრუქტორ-კონსულტანტები, რომელთაც აქვთ პირადი გამოცდილება.) და სხვა.

მეთხე საფეხური შუალედური შეფასებაა. ამ შემთხვევაშიც გამოიყენება დამოკიდებულების სიმძიმის ინდექსი: „მნიშვნელოვანია შევხედოთ რას მივაღწიეთ ამ პერიოდში. თუ ვერ მივაღწიეთ აუცილებლად უნდა განისაზღვროს მიზეზი. ამის შემდეგ ისახება ახალი მიზნები და პრიორიტეტები. ამ პერიოდის გასვლის შემდეგაც უკვე ფასდება პროგრესი“ - ამბობს კასრელიშვილი.


ბოლო ეტაპი არის რეაბილი-

ტაციის შემდგომი ზრუნვა, რაც გულისხმობს იმას, რომ „თანადგომა“ არ წყვეტს კონტაქტს პაციენტებთან და მკურნალობის დასრულების შემდეგაც მათთან აქტიური კომუნიკაცია აქვს. აქ მკურნალობის საფასური თვეში 500-დან 1000 ლარამდე მერყეობს. თუმცა ცენტრი თამაშდამოკიდებულებს სთავაზობს კვირაში ერთხელ უფასო ღია თერაპიულ შეხვედრებსაც. ცენტრი მდებარეობს: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავსა და გრემში.

განსხვავებული ფასებია ნარკოლოგიურ კლინიკებში, სადაც მედიკამენტური დეტოქსი 3500-4000 ლარია, ხოლო რეზიდენტულ ცენტრში - 3500 ლარი თვეში.

უფრო სხვანაირი მიდგომა აქვს სარეაბილიტაციო ცენტრ „დღე პირველი“, რომელიც დაკომპლექტებულია ადამიანებით, რომლებსაც ეს პრობლემა გადაულახავთ. მათ აქვთ იუთუბ არხი, სადაც მრავალი თამაშდამოკიდებული ადამიანი გვიზიარებს გამოცდილებას. როგორც წესი, გემბლინგს არ სურთ გამოჩენა, საუბარი და ეს ტაბუდადებული თემა ჰგონიათ, მაგრამ ამ ცენტრის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მორალურად ცვლიან ადამიანის აზროვნებას და იგი მათ სოციალიზაციას ახდენენ. როგორც ამ ცენტრის დამფუძნებელი გუგა ბესელია ამბობს: „წინადადება, რომ ყოფილი მოთამაშე არ არსებობს მცდარია. უშუალოდ თამაში და თამაშდამოკიდებულება ერთმანეთისგან განსხვავდება.“

ჩემი ოჯახი რომ სხვანაირად დამდგომოდა გვერდით, ალბათ, ცოტათი მაინც შემიმსუბუქდებოდა ყველაფერი, თუმცა მათგან მხარდაჭერა კი არა, გარიყვა ვიგრძენი.



სარეაბილიტაციო ცენტრების საკონტაქტო:

„თანადგომა“ – 599 98 63 68 მის.: ა. ქურდიანის ქ. 21, თბილისი

„დღე პირველი“ – 599 56 87 97 მის.: ი. აბაშიძის ქ. 47, თბილისი

მიუსაფარი ცხოველები

ავტორი: მარიამ მელიქიძე

მიუსაფარი ცხოველების თემა საქართველოში არასდროს ყოფილა ისეთი აქტიუალური, როგორიც ბოლო მიმდინარე წლების განმავლობაში.

უსახლკარო ძაღლებისა და კატების მომრავლება მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ეს საკითხი ნამდვილად ყურადღებამისაქცევია, რადგან ეს არამხოლოდ ცხოველების კეთილდღეობას, არამედ ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას უკავშირდება.


არსებობს თუ არა შესაბამისი ორგანიზაციები და ზრუნავს თუ არა ამაზე სახელმწიფო?

საქართველოში არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც ზრუნავენ მიუსაფარ ცხოველებზე, მათ შორისაა: „გული ცხოველებსთვის“ და „მიუსაფარი ცხოველების დახმარება“, რომლებიც არაერთ პროგრამას ახორციელებენ, როგორცაა: სტერილიზაცია, ვაქცინაცია და დროებითი თავშესაფრის შექმნა.

ორგანიზაციების მიზანია მიუსაფარი ცხოველების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის უკეთესი პირობების შექმნა,

თუმცა, მათ ხშირად არ ჰყოფნით ფინანსური რესურსები, ეს კი უფრო ამძიმებს არსებულ სიტუა-

აქტიუალურია, მაგრამ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს არაერთი ახალგაზრდა თუ ზრდასრულ-



ციას. რაც შეეხება ხალხის დამოკიდებულებას, შეიძლება ითქვას რომ საქართველოში მიუსაფარი ცხოველების დახმარება არც ისე

ლი, ვინც მის ყოველდღიურობად აქცია უსახლკარო ძაღლის თუ კატის დახმარება.

ჩვენი რესპოდენტი ზუსტად

მსგავსი საქმიანობითაა დაკავებული. ტასო ლოსაბერიძე 22 წლის გოგონა გახლავთ, რომელიც ცხოველებს 10 წლის ასაკიდან აქტიურად ეხმარება, ინტერვიუს მსვლელობისას მან არაერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოში ცხოველთა დახმარების ორგანიზაციების ნაკლებობაზე და იმედი აქვს მეტი ადამიანი გამოიჩინოს ინიციატივას დაეხმაროს დაუცველ არსებებს.

„ჩემი ცხოველებისადმი სიყვარული ბავშვობაში დაიწყო, მაშინ როდესაც მამამ პირველი ცხოველი, ძაღლი მომიყვანა. ის ქუჩაში იპოვა, ვილაცას მიუტოვებია, ხშირია მსგავსი შემთხვევები. ამ დროს ადამიანების ვალია გამოიჩინონ მეტი პუზანურობა და მოუარონ მიტოვებულ ცხოველებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ასე განირეს და მიატოვეს. ჩემი შემდგომი გადარჩენილი ცხოველი როზე გახლავთ, ჩემი კატა რომელიც ასევე ქუჩიდან ავიყვანე, თხრილში იყო ჩავარდნილი და ტიროდა, არ შემძლო ამის გულგრილად გატარება და ჩემს ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა. ახლა 22 წლის ვარ და ბავშვობის ოც-

ნებას ვიხდენ, ვმუშაობ მიუსაფარი ცხოველების თავშესაფარზე, რომელიც სულ რამდენიმე თვეში დასრულებული იქნება, შემდეგ კი შემძლება უფრო მეტ ცხოველს შევუქმნა თბილი გარემო არსებობისთვის.“ - განაცხადა ტასომ.

რაც შეეხება სტატისტიკას, ის გვიჩვენებს, რომ ევროპაში, საქართველოსთან შედარებით ვითარება ბევრად უკეთესია, მათ შემუშავებული აქვთ სპეციალური პროგრამები ცხოველებისთვის.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ტოპ სამი ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ იცავენ ცხოველების უფლებებს და უზრუნველყოფენ თავშესაფრითა და საჭირო ნივთებით გახლავთ: გერმანია, საფრანგეთი და ნიდერლანდები.

პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია განათლება, ცნობიერების ამაღლება და გააზრება იმის, რომ ადამიანებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ცხოველების მიმართ და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მიუსაფარი ცხოველების დახმარებაში.

ფერმის მაშენებლები - ბურიიდან

(რატომ მოვებს ხალხი სოფელს და როგორ ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ პროცესს ახალგაზრდა ფერმერებმა)

ავტორი: მარიამ ორმოცაძე

საქსტატის 2014 წლის აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით, ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 2 140 126 კაცია, ხოლო სოფლის მოსახლეობა - 1 589 509 კაცი. სოფლის მოსახლეობა 23,8%-ით შემცირდა. ქვეყნის მთელი მოსახლეობის 57,4%-ს ქალაქის მოსახლეობა შეადგენს, რაც წინა აღწერის (2002 წლის) შესაბამის მაჩვენებელზე 5,1%-ით მეტია. თბილისის გარდა მოსახლეობის მატება აღინიშნა ბათუმსა და რუსთავეში.

ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის მატება ძირითადად სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადმოსვით არის განპირობებული.

„სოფელში არც ერთი დღე გავს ერთმანეთს, ყოველდღე შესაძლოა არსაიდან წარმოიშვას პრობლემა, რომელიც ადგილზევე უნდა მოგვარო, ამის გარდა არის, რა თქმა უნდა, სტაბილური პრობლემებიც ესაა ინფრასტრუქტურის უქონლობა, დანახარჯები შემოსავალი შესაძლოა მუდმივად გქონდეს, მაგრამ არა საკმარისი, მიუხედავად ამისა, მაინც აქ ვართ და წარმოებას არ ვაჩერებთ. იქედან გამომდინარე რომ გურია ძალიან დარიბი რეგიონია, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით ცოტა დოვლათი იქმნება, მაგალითად კახეთს რომ შევადაროთ აი, რა განვითარებაც კახეთმა ათი წლის წინ დაიწყო იმას იწყებს ახლა გურია,“ - აღნიშნა გურიაში მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა.

სალომე კალანდაძე და ირაკლი გიკაშვილი ცოლ-ქმარნი არიან, რომლებიც ჯერ კიდევ პანდემიის დროს დატოვეს ქალაქი და საცხოვრებლად გურიის სოფელ ნიგოთში გადმოვიდნენ. იმ დროს, როდესაც ხალხი აქტიურად ტოვებს სოფლებს და საცხოვრებლად არათუ ქალაქში, არამედ საზღვარგარეთ მიდიან ჩემი სუბიექტური აზრით, მათ გამოიჩინეს სიტამამე და დაიწყეს ახალი საქმის კეთება.

სოფლები დღემდე მასიურად იცლება, არასაკმარისი სამუშაო ადგილები, დაბალი ანაზღაურება, სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობა, დღეს შეუძლებელს ხდის ფერმერმა აქ თავი დაიმკვიდროს. ჩვენს ქვეყანაში არ არის სოფლის მეურნეობა არც განვითარებული და არც დაფასებული. იმის მაგივრად, რომ ფერმერი დაკავებული იყოს პროდუქტის მოყვანით, მას უწევს იფიქროს რეალიზაციაზე, უხეშად რომ ვთქვა - გასაღებაზე. საქსტატის აღწერით 2023 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე გურიაში 16.1 პროცენტს შეადგენს და ამ მონაცემებით რეგიონების მიხედვით მესამე ადგილს იკავებს.

ოჯახს დასაქმებული ყავს ადგილობრივი მაცხოვრებლებიც ასევე ისინი უცხოეთიდან იღებენ მოხალისეებს, როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი და დასაქმებული ამბობს, მისთვის ამ წამოწყებაში გააჩნია პერსპექტივა ესწავლა რაღაც ახალი და სხვა ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, რომლებიც სწავლის დასრულებისთანავე სამუშაოს დასაწყებად ქალაქებში მიდიან, ის აქ დარჩა.

„**აუცილებელია სახელმწიფოს ასეთ წამოწყებას ხელი შეუწყოს, ფინანსური თვალსაზრისით ბოსტნეული და მარცვლეული კულ-**

ტურის მოყვანა თან ხარისხიანის ხარჯებთანაა დაკავშირებული სალომე და ირაკლიმ ტრაქტორი თავისივე დანაზოგით იყიდეს, მაგრამ მაგის გარდა უამრავი რამაა რაც აფერხებს ამ პროცესის სრულყოფილებაში მოყვანას.“

ფერმა ოდაში ბიოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის რეალიზაციას ახდენს. მათი პროდუქტი არ შეიცავს სასუსს და ჰერბიციდებს, რაც დღევანდელ რეალობაში საკმაოდ იშვიათია ამისთვის კი საჭიროა ენკულტივატორები, რომლებიც მათ ყველა სახის ბოსტნეულის მექანიზირებულად მოვლა-პატრონობაში დაეხმარება, გამომდინარე იქედან, რომ მათ ხელით მუშაობა უწევთ, ამ პროცესს კი დიდი დრო მიაქვს და შედეგი არც ისეთი სრულყოფილია-როგორც შესაძლოა რომ იყოს. მსგავსი კულტივატორის ფასები ბაზარზე მაღალია თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ ფერმერებისთვის არსებულ საგრანტო პროექტებში.

ამ ეტაპზე მათ გაიმარჯვეს პროექტში „მწვანე გურია.“ მიღებული გრანტი 93597 ლარს წარმოადგენს, თუმცა, 28179 ლარის შეგროვება თავადვე უწევთ, რაც დამწყები ფერმერებისთვის საკმაოდ დიდი თანხაა.

სალომე და ირაკლიმ საკუთარ მეურნეობას გაყიდვების ამერიკული სისტემა ჩაუყარეს საფუძვლად ასე. ეს არის ფერმის მოდელი, სადაც ადგილობრივი ფერმერი საკუთარი მოყვანილი პროდუქტით კვებას იმ ადამიანებს, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა წინასწარ გადაუხადონ მას „ავანსი“ რომ მან შეძლოს სწორედ

მათთვის მოიყვანოს ეს პროდუქტი. პრაქტიკულად რეალიზაციაზე ფიქრი აღარ უწევს და მხოლოდ ორიენტირებულია მიაწოდოს კარგი, ხარისხიანი, ორგანული პროდუქტი ეს მეთოდი ძალიან კარგია დამწყები ფერმერებისთვის, რომლებსაც აქვთ ცოდნა, მაგრამ არა ფინანსები და სწორედ ეს კეთილმოსურნე ადამიანები გეხმარებიან შენ ამ კუთხით, სანაცვლოდ კი შენგან ჯანსაღ პროდუქტს ელიან. სწორედ ეს არის მისი უპირატესობა, ეს აღარ არის უბრალო ყიდვა-გაყიდვა, ეს არის ურთიერთობა, ეს არის საზოგადოება. ზუსტად ამიტომ ქვია სახელად გაყიდვების ამ მოდელსაც -საზოგადოების მხარდაჭერილი აგრომეურნეობა.

როგორც დემოგრაფიკ ავთანდილ სულაბერიძე ამბობს, სახელმწიფომ შესაბამისი დაფინანსებით უნდა გამოიყოს ფერმერული საქმიანობისთვის, თბილისლებმა მიწები შეიძინეს სოფლად და ადგილობრივებს ამუშავებენ მონურ მდგომარეობაში რეალურად კი ეს მიწები ადგილობრივებს უნდა ჰქონოდათ „მაგალითად დასავლეთ ევროპის ქვეყნებს იტალიას, გერმანიას. იქ ყველას თავისი მეურნეობა აქვს, აქ კი - ქალაქიდან სოფელში ჩადის მილიონერი კაცი, არც იცის სოფლის მეურნეობა აიყვანს ვილაცას და საქმეს გააქვთებინებს ახლა ასეთი ტენდენციაა.

-რას აკეთებს სახელმწიფო ამ დროს და არის თუარა საკმარისი ეს?

სსიპ „ანარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო

აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

ანარმოე საქართველოს პირობებში სალომე კალანდაძე გახდა ქალი ფერმერი და მიიღო დაფინანსება გრანტის მოცულობა 30 000 ლარია, თუმცა იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, გურიაში და კახეთში ეს თანხა 40 000 ლარამდე გაიზარდა, რადგან ამ რეგიონებს მოიცავს მთავრობის მიერ ევროკავშირის დაფინანსებით დაწყებული ინტეგრირებული განვითარების პროგრამა.

ამ ყველაფრის ფონზე პრობლემა რჩება პრობლემად საჭიროა მეტი ჩართულობა, მონდომება და ენთუზიაზმი ხალხის მხრიდან და სურვილი განვითარდეს სოფლის მეურნეობა.



ქართული საზოგადოების მუსიკალური ბეგონები 2024 წელს

ავტორი: ლაშა ნოზაძე

რას უსმენდნენ ქართველები იუ-თუბზე 2024 წელს? 2024 წელი მრავალფეროვანი მუსიკალური გემოვნების წელი იყო, სადაც ქართველები აქტიურად უსმენდნენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ჰიტებს. ოუთუბ-ის მონაცემების მიხედვით, ტოპ ათეულში მოხვედრილი სიმღერები ცხადყოფს, რომ ქართველი მსმენელები დაინტერესებულნი არიან როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე ჟღერადობით. თუმცა, ამ სტატისტიკამ სხვადასხვანაირი რეაქციები გამოიწვია საზოგადოების წარმომადგენლებში. ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოში ქილიკი და ხუმრობა თამამდვე პროცესია, თუ გავიხსენებთ წინა წლების გამოქვეყნებულ იგივე სტატისტიკას ნებისმიერი გამოქვეყნებული სტატისტიკის ირგვლივ ისმოდა უამრავი კრიტიკა და ხუმრობა და მომდევნო 1 კვირა საქართველოს მთავარი თემა სწორედ ამ სტატისტიკის განხილვა იყო. ქილიკის მთავარი გამომწვევი ობიექტი რუსულენოვანი მუსიკის მონიხავე პოპოკიებზე ყოფნა იყო და შემდეგ „ფანოლური“ ჟანრის მალა ყოფნა. წლებადელი სტატისტიკა კი ასეთია: ტოპ 10 სიმღერის მიმოხილვა: რას უსმენს ქართველებმა 2024 წელს?



1. მგზავრები – „საქართველო“ (7.95 მილიონი ნახვა) ამ კომპოზიციამ არა მხოლოდ 2024 წლის საუკეთესო ჰიტის სტატუსი მოიპოვა, არამედ კიდევ ერთხელ გაგვახსენა „მგზავრების“ უნარი, შექმნან მუსიკა, რომელიც თითოეულ ქართველის გულს ეხება. სიმღერა სამშობლოს სიყვარულსა და ემიგრანტული სევდის თემატი-

კას ეხება, რაც განსაკუთრებით პოპულარული აღმოჩნდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში.

2. ჯგუფი ურსა – „სიკვდილით გარდასვლა“ (7.69 მილიონი ნახვა) სიმღერა სოციალური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ტექსტით გამოირჩევა. მისი მიმე, ემოციური შინაარსი და მელოდია მსმენელების დიდ ნაწილს გულთან ახლოს მიაქვს.

3. ჯგუფი ურსა – „ნუ გიყვარს ქალი“ (6.99 მილიონი ნახვა) სიყვარულის რთული მხარეების წარმოჩენით, ეს სიმღერა მსმენელებს განსაკუთრებით დადებით შეფასებებს იღებს.

4. ლინდა დამია – „The Night and You“ (6.86 მილიონი ნახვა) ლინდა ადამიას სიმღერა უცხოური ჟღერადობის შესანიშნავი მაგალითია, რაც ქართველი მსმენელისთვის სიახლე გახდა.

5. Adam – „Zhurek“ (Isko Alvarez remix) (6.84 მილიონი ნახვა)

6. ბანი – „განდაგანდა“ (6.03 მილიონი ნახვა) სიმღერა მელოდიური იუმორითა და ტრადიციული ელემენტების გამოყენებით გამოირჩევა, რაც მას ერთ-ერთ გამორჩეულ კომპოზიციად აქცევს.

7. ჩემი ქუთაისი – „C Corporation & Lado Kuchukhidze“ (5.71 მილიონი ნახვა) ნოსტალგიური სიმღერა ბავშვობის მოგონებებს გვახსენებს და მსმენელში ემოციურ კავშირს ინვესტ.

8. იასამინისფრით – „1/4 ფეატ. ლინდა ადამია“ (5.39 მილიონი ნახვა).
9. არტურ სარკისიანი – „Загуляю“ (5.33 მილიონი ნახვა) ეს რუსულენოვანი სიმღერა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების მსმენელებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

10. Reggaeon – „ბარათი“ (5.16 მილიონი ნახვა) რეგი სტილის ჰანგებმა სიმშვიდე და პოზიტიური განწყობა მოიტანა, რაც მას 2024 წლის ერთ-ერთ გამორჩეულ ჰიტად აქცევს.

საზოგადოების რეაქციები:



როგორ შეაფასეს ქართველი მუსიკის მოყვარულებმა? ქართველი მუსიკის მოყვარულების შეფასება მრავალმხრივია და ამას ქართველი ხალხიც იზიარებს ნაწილობრივ.

გამოქვეყნებულ სტატისტიკას სოციალურ ქსელებში მოყვანილი კრიტიკა და დაცინვა და დამცინავი კომენტარები და საზოგადოების აღშფოთება მე გავსაუბრე მუსიკის მოყვარულ უბრალო საქართველოს მოქალაქეებს და მათი აზრები ძალიან საინტერესოა:

გიგა ქადაგიძე: „ეს სტატისტიკა მეტწილად არარეალისტურია. მგზავრების „საქართველო“ შეიძლება ემოციურად სენსიტიური იყოს, მაგრამ ვფიქრობ, ასეთ ჰიტებს ზედმეტად დიდ ყურადღებას აქცევენ, როცა ალტერნატიული ჟანრების, მაგალითად, ექსპერიმენტული მუსიკის შემსრულებლები საერთოდ იგნორირებული არიან. ქართველი მსმენელი თითქოს ერთსა და იმავე ტრადიციულ მიმართულებას მისდევს, რაც განვითარებას არ უწყობს ხელს.“
ანა ლუწკაია: „მიხარია, რომ ქართული მუსიკა ასე ფართოდ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ ტოპ ათეულში ჯუჯუ ურსას ორი სიმღერის ყოფნა მიაწინებს, რომ ქართველი მსმენელები ჩაკეტილები არიან ერთი ჟანრის ირგვლივ. მაგალითად, ლინდა ადამიას მსგავსი საერთაშორისო ჟღერადობა ბევრად მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე რეალურად იღებს.“
ნიკა გეგეჩაძე: „სიმღერების მრავალფეროვნება ნამდვილად შეიმჩნევა,

თუმცა ამ ათეულში უფრო ძლიერი საერთაშორისო სიმღერების ნაკლებობაა. „განდაგანდა“ და „ბარათი“ ძალიან საინტერესოა, მაგრამ ტრადიციული და ინოვაციური მუსიკის ბალანსი უკეთესად უნდა იქნეს დაცული. ჯამში, სტატისტიკა ასახავს 2024 წლის მუსიკალურ ტენდენციებს და დიდი სურათის დანახვაში გვეხმარება.“
როგორც ხედავთ საზოგადოების აზრი საერთო მესიჯს და ინტერესებს ატარებს და იზიარებს ერთმანეთის ხედვებს.

2024 წელს ქართველი მსმენელები აქტიურად ეხმაურებოდნენ როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მუსიკას. მიუხედავად ამისა, საზოგადოების ნაწილს ტოპ ათეული უფრო მეტად მოეჩვენა კონსერვატიული, ვიდრე ინოვაციური.

ოუთუბ, როგორც მთავარი პლატფორმა, ამ მუსიკალური ტენდენციების წარმოჩენაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. თუმცა, მუსიკალური სფეროს განვითარებისთვის აუცილებელია, უფრო ფართო ჟანრული წარმოდგენა და ახალი შემსრულებლების მხარდაჭერა.

საინტერესოა თუ რესტორანში მოღვაწე მუსიკოსები რას ფიქრობენ საქართველოს მუსიკალურ გემოვნებაზე: ხუთი წლის წინ უფრო ქართული მუსიკის დაკვრას გვთხოვდნენ – ტრადიციული ქართული სუფრისთვის შესაფერისი სიმღერებს, ფოლკლორს, ქალაქურს, და, რა თქმა უნდა, ფანოლებს. იმ დროს გემოვნებაზე უფრო ორიენტირებული იყო ჩვენს ფესვებზე, და ეს ძალიან მახარებდა, რადგან ქართული მუსიკა სუფრის ნამდვილ ატმოსფეროს ქმნის. ახლა ცოტა შეიცვალა – რუსული სიმღერებიც გამოიწვია შეკვეთებში. უფრო ხშირად გვთხოვენ რუსულ ესტრადას ან პოპ-მუსიკას, რაც, სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ ცოტა ტონალობას აცლის ქართულ სუფრას. მე, როგორც დამკვერელს, მომწონს, როცა ტრადიციული ქართული ნოტები სუფრაზე წამყვანია – ის ჩვენს უნიკალურობას უკეთ გამოხატავს. სასურველია, რომ ქართული ტრადიციები დავიცვათ, თუმცა, რას იზამ, დრო და გემოვნება იცვლება. მთავარია, მუსიკა სუ-

ფრაზე ყოველთვის კარგი განწყობის შემომტანი იყოს.

“ როგორც იკვეთება რესტორანში მოღვაწე მუსიკოსებშიც საერთო აზრუ მუსიკებს, განწყობა თითქმის ერთია – არ მოსწონთ დღევანდელი მდგომარეობა რაც არის საქართველოში შექმნილი და ეს სუფრის და ენ სუფრულ მუსიკების გემოვნებაზეც აისახა.

საინტერესოა ქართველი მუსიკოსების აზრიც ვინც უშუალოდ შოუბიზნესში არიან ჩართულები რადგან მათ მიმართ არაერთი კრიტიკული აზრი ჟღერს მათ ნოდიკო ტატიშვილი: ჩვენს ქვეყანაში მდიდარი მუსიკალური ტრადიციებია – ფოლკლორი, ქალაქური რომანსები, კლასიკური ნაწარმოებები – მაგრამ დღეს, ხშირად ვხედავთ, როგორ „ფონს გადის“ ზედპირობული და მორალურად ცარიელი შინაარსი. ეს მხოლოდ დროებითი გართობის საშუალებაა და არც მომავლისთვის ქმნის რაიმე ღირებულს. აუცილებელია, რომ როგორც მუსიკოსებმა, ისე მსმენელებმა გავაკეთოთ არჩევანი იმაზე, რაც ღრმა და ნამდვილია. ქართული მუსიკა იმდენად უნიკალური და მრავალფეროვანია, რომ მის გათანამედროვებასთან ერთად, მისი პოპულარიზაცია შეგვიძლია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო არენაზეც. ამიტომ, მივმართავ ყველა მსმენელს – მოიძიეთ ნამდვილი მუსიკა, დაუჭირეთ მხარი ქართველ შემსრულებლებს და შეინარჩუნეთ ჩვენი კულტურული იდენტობა.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია დასკვნად ის გამოვიტანოთ, რომ ხალხის კონკრეტული ნაწილიც და შოუბიზნესის წარმომადგენლებიც დაახლოებით ერთ აზრზე იზიარებენ საქართველოს მუსიკალურ გემოვნებაზე. 2024 წლის ტოპ ათეული ქართველი მსმენელების ინტერესებს კარგად ასახავს და საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმედოვნებს, რომ ეს ინტერესები უკეთესობისკენ და თანამედროვეობისკენ შეიცვლება და მსოფლიოს განვითარებას მუსიკალურ გემოვნებაში და საკითხებში მალე ქართველი ხალხიც აუწყობს ფეხს.

P Diddy-ის პოლივუდური სახანდალი

ავტორი: დამი მუზაშვილი



ბოლო ხანებში პოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავი, ჯონ კომბსის, იგივე იდუ-ის საქმე საკმაოდ აქტიუალური თემაა საზოგადოებაში.

პოლივუდელი რეჟერი 16 სექტემბერს, სექსუალური ტრეფიკინგის, ძალადობისა და პროსტიტუციის ბრალდებით ნიუ-იორკში დააკავეს. ბრალდებაში აღწერილია წვეულების დროს მომხდარი ქმედებები, -სექსუალური შევიწროვება, ნარკოტიკული

ქმედებები ცუდად მოქმედებს ჯონ კომბსის რეპუტაციაზე, მისი ადვოკატი ამტკიცებს, რომ ეს ასე არაა, რადგან საქმე არასწორად არის წარმოდგენილი.

იდუ-ის წვეულებებს არაერთი ცნობილი ვარსკვლავი ესწრებოდა, -ბიონსე, ჯეი-ზი, ლონარდო დიკაპრიო, ჯასტინ ბიბერი და სხვა.

მათგან უმეტესობა ამ ამბის თანამონაწილედ შეირაცხა, ხოლო ნაწილი კი - მსხვერპლად.

ახალგაზრდა მომღერალ ჯას-

ტინ ბიბერზე ვრცელდება უამრავი ვიდეომასალა და ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ის იდუ-ის მსხვერპლი ჯერ კიდევ ბავშვობიდან იყო. მას შემდეგ, რაც წლების წინ გადაღებული ჯასტინ ბიბერის ვიდეო გავრცელდა, მასზე ძალადობის ეჭვები კიდევ უფრო რეალური გახდა. გამოცემა აგე სიხის გავრცელებულ ვიდეოში ჩანს ჯასტინის გვერდით მდგომი იდუ, რომელიც კამერაში ამბობს: „ის დიდისთან 48 საათს გაატარებს, თუ რას გავაკეთებთ, ვერ გავიმხელთ, მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად ამ ბიჭის ოცნებაა“, რაზეც ჯასტინ ბიბერი პასუხობს: „მომდევნო 48 საათის განმავლობაში ჩვენ ერთად ვიქნებით და ბოლომდე გავიგიჟებთ თავს.“ ჯასტინ ბიბერის ირგვლივ გავრცელებულ ამ და სხვა ვიდეოებს ხალხის მხრიდან დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რადგან მასალებში აშკარად ჩანს ახალგაზრდა მომღერლის უცნაური საუბრის ინტონაცია, ნერვიულობა, არაბუნებრივობა და სხვა.


ჟურნალ ეპოკ-ისათვის მიცემულ ინტერვიუში 50 ჩენტ-მა, რომლის ხანგრძლივი დაპირისპირებაც შონ კომბსთან საყოველთაოდაა ცნობილი, იდუ-ს დაპატიმრების შესახებ ისაუბრა: „მე უბრალოდ ვიმეორებ იმას, რასაც 10 წელია ვამბობ. ახლა ეს ყველაფერი უბრალოდ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა და მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა,“ - განაცხადა ჰიპ-ჰოპ არტისტმა.

50 ჩენტ-მა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მსგავს წვეულებებზე არასდროს ყოფილა. მან ასევე სექტემბერში დაადასტურა, რომ ეტფლის-ზე მისი დოკუმენტური ფილმი გამოვა. დოკუმენტური ფილმი სავარაუდოდ მოგვითხრობს ბრალდებებზე, რომლებიც ეხება კომბსის მხრიდან სექსუალური ძალადობის ფაქტებს, რაც მრავალი წელია გრძელდება და გამომძიებლების თქმით, ათწლეულებს ითვლის. „ჩვენ მზად ვართ საზოგადოებას გავაგონოთ მათი ხმა, ვისაც ხმამაღლა საუბრის საშუალება არ ჰქონდა და საზოგა-

დოებას ვაჩვენოთ ეს ამბები ნამდვილი და მრავალმხრივი პერსპექტივებით,“ - განაცხადეს ჰიპ-ჰოპ არტისტმა და რეჟისორმა.

„თეთრ წვეულებებს“ შონ კომბსი 1998 წლის სექტემბრიდან წელიწადში ერთხელ მართავდა. წვეულებას ორი ნაწილი ჰქონდა - ოფიციალური და არაოფიციალური. დღევანდელი მედიისთვის აქტიუალური თემა სწორედ არაოფიციალური ნაწილია. გავრცელებული ინფორმაციით, კომბსი სტუმრებს სასმელში ნარკოტიკს უყრიდა მათზე კონტროლის დასამყარებლად, იმ ამბებს კი, რაც არაოფიციალურ წვეულებებზე ხდებოდა, ვიდეოფორზე ასახავდა მომავალში დაშნატაჟების მიზნით. იმ ვარსკვლავების გასაჩუქმელად, რომლებიც რეჟერის სასტიკ წვეულებებს ესწრებოდნენ, კომბსს თავისი მეთოდები ჰქონდა.

ავტორი: მარიამ ჩალაური



თაობათა ცვლა არ ნიშნავს კითხვის კულტურის დაკარგვას. შესაძლოა შეიცვალოს წიგნის ფორმატი, გიკითხოთ ეკრანიდან, მოვუსმინოთ აუდიო წიგნებს, მაგრამ ლიტერატურა ყოველთვის დარჩება ცოდნის უმრეგტი წყარო და ინსპირაციის ყველაზე დიდი საგანძური.



**დავატავით
დაიბრუნე 3%**
თიხისის ბარათით



უცნაური კონტრაქტები და სპორტი

ავტორი: დიმიტრი მუხამეილი

სამყაროს სპორტი უკვე დიდი ხნის მანძილზე ალამაზებს სახეობრივი ინდივიდუალობით, რომლითაც საზოგადოების დიდი ნაწილი მუდამ მოხიბლულია. ცხადია, მომხიბლავი და საინტერესო სწორედ ის მსუბუქი და ემოციური ფონია, რომელიც სპორტს მუდამ



დენის ბერგკამპი

თან ახლავს, მაგრამ თუ სპორტის გარკვეულ დეტალებს დავაკვირდებით, არანაკლებ საინტერესოდ მოგვეჩვენება სპორტული გარემო. პროფესიონალურ სპორტულ გარემომდე სპორტსმენი კონტრაქტს მიჰყავს, რომელიც, როგორც წესი, ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არსებობს უცნაური გამონაკლისებიც, რომლებმაც სპორტულ სამყაროს თავი დაამახსოვრა.

დენის ბერგკამპის კონტრაქტი ლონდონის არსენალში

არსენალის ლეგენდარულ ფეხბურთელს, დენის ბერგკამპს, რომელიც ლონდონურ კლუბს 1995 წელს შეუერთდა და სპორტული სამყაროს დიდი სიყვარული დამისახურა, საკუთარ კლუბთან არსებულ კონტრაქტში ერთი თავისებური პირობა ჰქონდა-ნიდერლანდელს ფრენა არ მოსწონდა, რადგან თვითმფრინავის შიში ჰქონდა.ამიტომ, მის კონტრაქტში შედიოდა პირობა, რომლის მიხედვითაც ის არ გაემგზავრებოდა გუნდთან ერთად თუ კი ფრენა ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა. აქედან გამომდინარე,დენის ბერგკამპს გულშემატკივრებმა “არამფრინავი პოლანდიელი” დაარქვეს.

გლენ დევისის კონტრაქტი ბოსტონის სელტიკში

კალათბურთელი გლენ დევისი, ზედმეტსახელად “იგ ბაბყ”, რომელიც ბოსტონის სელტიკში 2009-2011 წლებში თამაშობდა და მისი სეზონური ანაზღაურება \$2.5 მილიონ დოლარს შეადგენა, მეტად საინტერესო კონტრაქტით გამოირჩეოდა-თუ ის სელტიკის მხრიდან დაკმაყოფილებდა მოთხოვნას, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ დევისის წონა 140 კილოგრამს ქვემოთ შეენარჩუნებინა, ის დამატებით ნახევარ მილიონ

დოლარს მიიღებდა სეზონში.

ნეიმარის ტრანსფერი ბარსელონაში

ყველსათვის ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის ნეიმარის კონტრაქტი ერთ თავისებურ დეტალს მოიცავდა-ბარსელონას ყოველ ორ თვეში ნეიმარის მეგობრები უნდა გადაეყვანა თვითმფრინავით ბრაზილიიდან ბარსელონაში და გარდა ამისა,ისინი საკვებითა და საცხოვრებელითაც უნდა უზრუნველყო.

მარიო ბალოტელის კონტრაქტი მილანში

მარიო ბალოტელი თავს ყოველთვის ამახსოვრებდა მაყურებელს ფეხბურთის თავისებური სტილით, დაწყებული თამაშიდან დამთავრებული ქმედებამდე.

ამის გამო, ლივერპულიდან იჯარით გადასულ მარიო ბალოტელის მილანში კონტრაქტის განსხვავებული წესები დახვდა-სუპერ მარიო არ უნდა მოქცეულიყო პროვოკაციულად მოედანზე და გარდა ამისა, არ უნდა დაეყენებინა უცნაური ვარცხნილობა, არ მოენია, არ ეარა ღამის კლუბებში და არ დაპირისპირებოდა მედიას.



უსეინ ბოლტი

უსეინ ბოლტის კონტრაქტი ბორუსიის დორტმუნდში

ცხრა გზის ოლიმპიური მედალოსანი სირბილში-უსეინ ბოლტი, რომლის დიდი სურვილიც იყო, რომ ოდესმე პროფესიონალური ფეხბურთი ეთამაშა, 2016 წელს აიხდინა.ამის საშუალება მას მისცა ბორუსია დორტმუნდმა, რომელმაც ლეგენდარულ ოლიმპიელს შანსი მისცა მათთან ერთად ბაზაზე ევარჯიშა და მეტიც, ბოლტმა დორტმუნდის შემადგენლობით ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

სპორტულ კონტრაქტებში გამოხატული უცნაურობები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სპორტული სამყარო უნიკალურია. უნიკალურია იმით, რომ კონტრაქტი შეიძლება არ აკმაყოფილებდეს რომელიმე მხარეს, იყოს სრული ფიასკო კარიერისთვის, მაგრამ მაინც მისცეს სპორტსმენს მოტივაცია და თავი საკუთარ ნაწილად აგრძნობინოს.

ქართული ფეხბურთი მრავალი წლის განმავლობაში განვითარების სხვადასხვა ეტაპებს გადიოდა. საკმაოდ ხანგრძლივი და მძიმე პროცესი გაიარა ქართულმა ფეხბურთმა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე – იყო დრო, როცა ძალიან ბევრი ნიჭიერი ქართველი სპორტსმენი ევროპის უმაღლესი ლიგების გუნდებში თამაშობდა და ყველაფერი სწორი მიმართულებით მიდიოდა, თუმცა პროგრესი და ქართული ტალანტების ევროპულ ფეხბურთში გადინება უეცრად შეწყდა. ფაქტობრივად, ყველა ნიჭიერი და იმედისმომცემი ქართველი ფეხბურთელი რუსულ პრემიერლიგაში აღმოჩნდა და დაიწყო რეგრესიც. უამრავი სახელისა და გვარის დასახელება შეგვიძლია, რომელთა

ნიჭიც, საფეხბურთო უნარ-ჩვევები არაფრით ჩამოუვარდებოდა, როგორც მინიმუმ, საშუალო ევროპელი ფეხბურთელების შესაძლებლობებს, თუმცა ნავსი არ ტყდებოდა – ტრავმები, რუსულ კლუბებთან საკონტრაქტო პრობლემები და ხანგრძლივად მათთან დროის გატარება, მენტალობა, ქართული ფეხბურთის მიმართ ევროპული ბაზრის მხრიდან ინტერესისა და ნდობის გაქრობა; დაუსრულებელ წრეში აღმოვჩნდით და თითქოს წინ არაფერი ჩანდა.

ნავსის გატეხვა დღეს დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მოჯადოებული წრიდან გავალწიეთ და ქართული საფეხბურთო ცხოვრება თავიდან ბოლომდე თუ არა, მეტწილად დაუკავშირდა ევრო-

სპორტის შერნალისტიკის განვითარება საქართველოში

ავტორი: დავით ბანცაძე

სპორტული ჟურნალისტიკა საქართველოში შედარებით ახალი, მაგრამ აქტიურად მზარდი მიმართულებაა. მას საუძველი XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა, თუმცა, რეალური წინსვლა და განვითარება ბოლო ათწლეულებში დაიწყო. განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ - მაშინ, როცა საქართველოში სპორტმა საერთაშორისო დონის წარმატებას მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დროს სპორტი ერთ-ერთ პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა. ჟურნალისტიკები ჟურადლებას ამახვილებდნენ სპორტის სოციალისტურ მიღწევებზე და ქვეყნის ძლიერი სპორტსმენების წარმომჩენაზე. ამ პერიოდში სპორტული ჟურნალისტიკა ძირითადად მოიცავდა სახელმწიფო მედიის საშუალებებით გაშუქებულ ამბებს, რომელიც შეზღუდული იყო თავისუფალი კრიტიკისა და მრავალფეროვანი აზრების გამოხატვის თვალსაზრისით.

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში გამრავალფეროვნდა მედია. მიუხედავად იმისა, რომ პირველი წლები პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობით გამოირჩეოდა, 2000-იან წლებში სპორტის მნიშვნელობა და მისი გაშუქება თანდათან გაიზარდა. ეს პერიოდი დაემთხვა საქართველოს სპორტსმენების საერთაშორისო წარმატებებს, როგორიცაა, დამოუკიდებელი ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბება,შესანიშნავი ფეხბურთელები, რომლებიც ამ ნაკრებში თამაშობდნენ. მაგ-



ალითად, - შოთა არველაძე, გიორგი ქიქელაძე, კახა კალაძე და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზაზა ფაჩულაძის ამერიკულმა საკალათბურთო კარიერამაც. ახალი დამოუკიდებელი მედია-საშუალებების განვითარებამ,

როგორიცაა - გაზეთები, ტელევიზიები და მოგვიანებით, ონლაინ პლატფორმები, გზა გაუხსნა ახალგაზრდა სპორტულ ჟურნალისტებს. დიდი როლი ითამაშა პირველი სპორტული არხების შექმნამ, რომელთა საშუალებითაც სპორტული მოვლენები უკვე სისტემატიურად და კომპლექსურად შუქდებოდა. პირველი ქართული სპორტული სატელევიზიო არხი გახლდათ "მზე", სადაც სისტემატიურად შუქდებოდა სპორტული რეპორტაჟები და სიახლეები, რაც შეეხება სპორტულ გაზეთებს, პირველი ქართული გაზეთი იყო "ლელო", რომელიც 1934 წლის 13 აპრილს გამოიცა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ინტერნეტის განვითარებამ სპორტულ ჟურნალისტიკას ახალი პერსპექტივები გაუხსნა. სპორტული ახალი ამბები ინტერნეტში სწრაფად ვრცელდება და სოციალური მედიის გავლენით გამარტივდა მყისიერი რეაგირება მოვლენებზე.

დღესდღეობით საქართველოში მრავალი ონლაინ სპორტული პორტალი ფუნქციონირებს, როგორიცაა - „სპორტალ.გე“, „crystal sport“, „სეტანტა სპორტს“ და სხვ. ისინი ახალ ამბებს, ანალიზებსა და კომენტარებს ყოველდღიურად ავრცელებენ. სოციალური მედიის საშუალებები კი სპორტული ჟურნალისტების იარაღად იქცა, რაც მათ საშუალებას აძლევს აუდიტორიასთან უშუალო კავშირი დაამყარონ და რეალურ დროში მიაწოდონ სიახლეები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სპორტული ჟურნალისტიკა საქართველოში საკმაოდ განვითარდა, ამ სფეროს ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა ელის. ძირითადი პრობლემები მოიცავს ფინანსურ რესურსებსა და პროფესიული ჟურნალისტიკის სტანდარტების ნაკლებობას. ამასთან დაკავშირებით თავის აზრს და გამოცდილებას გვიზიარებს სეტანტა სპორტის კომენტატორი, ნიკოლოზ ტაბატაძე.

„პირველ რიგში, რადგან სტუდენტისთვის არ არსებობს გამოცდილება, ეჭახები ამ პრობლემას, ვგულისხმობ გამოცდილებას და

ძირითად ხარ სხვების შემოქმედებისკენ მიდრეკილი და ცდილობ, რომ მათი პრაქტიკები გაიზიარო და ხშირ შემთხვევაში ექცევი ამ შაბლონურ წრეში. სპორტული ჟურნალისტი მზად უნდა იყოს იმისთვის,რომ პროცესი საკმაოდ გრძელია ანუ თავიდანვე არ გამოვა ის,რაც შეიძლება მოტივაცია იყოს ზოგადად ამ სფეროში თავის დამკვიდრების.

ეს არის პროცესი, სანამ გაიზრდები, ცოდნას, გამოცდილებას თავს მოუყრი, მიხვდები ზუსტად რა ფორმით გინდა ამ ყველაფრის გამოყენება და მერე მიაგნებ იმ ჭეშმარიტ წერტილს, სადაც შენ თავს ეძებდი. რაც შეეხება ანაზღაურებას, ეს არის ცალკე, პრობლემური საკითხი,ჩვენს რეალობაში ზოგადად არ არის, პროფესია, რომლითაც შეგიძლია არჩინო ოჯახი და ასე შემდეგ.სამწუხაროდ, ჯერჯერობით სპორტის ჟურნალისტის ხელფასი საშუალოდ მერყეობს 1500-2000 ლარს შორის.მზარდი პრობლემა, მზარდი სფეროა და იმედოვნ მქვს, რომ გაცილებით უფრო სოლიდურ ნიშნულს მიაღწევს უახლოეს მომავალში.“ - აღნიშნა ტაბატაძემ.

სპორტული ჟურნალისტიკის მომავალს საქართველოში ციფრული ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას უნინასწარმეტყველებენ. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სპორტული არხი და საიტია სეტანტა სპორტი.

იმ შემთხვევაში,თუ ადამიანს მოუწდება საიტით სარგებლობა, თვითრად მოუწევს 13 ლარის გადახდა.

საქართველოში სპორტული ჟურნალისტიკა განვითარების პროცესშიადა მას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპორტული კულტურის ზრდასთან ერთად, სპორტული ჟურნალისტიკის გავლენა სულ უფრო მეტად იზრდება. ახალი მედიაპლატფორმებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. სპორტულ ჟურნალისტებსა და მაყურებელს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო და მყისიერი ხდება, რაც ამ სფეროს განსაკუთრებულ პერსპექტივებს სთავაზობს.

ქართული ფეხბურთის ამომავალი პარსკვლავები

ავტორი: გიორგი სირბილაძე



პულს, ხელახლა გაჩნდა ინტერესიც და ნდობაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გამოუმჟავედბა. ამ წრის გარღვევაში, პირველ რიგში, თუკი კონკრეტულად ფეხბურთელები უნდა ვახსენოთ, ცხადია, ესენი არიან ხვიჩა კვარაცხელია და გიორგი მამარდაშვილი – პროცესი მათ დაიწყო:

ხვიჩა კვარაცხელიას დამსახურება

ის, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში ხდება, ამ ყველაფრის მიზეზი სწორედ საქართველოს და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, ხვიჩა კვარაცხელიას დამსახურებაა. ხვიჩა კვარაცხელია არის, არა მხოლოდ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავი, არამედ ქვეყნის გმირი, რომელმაც ქართველებს შეგვახსენა, რომ საქართველო ფეხბურთის ქვეყანაა და ფეხბურთით ცოცხლობს. ხვიჩამ ქართველი მაყურებელი და გულშემატკივრი სტადიონებზე და ტელეეკრანებთან დააბრუნა. ხვიჩა კვარაცხელია არის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მისი კარიერის წარმატებამ დადებითი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ საფეხბურთო სფეროზე, არამედ ახალგაზრდების მოტივაციაზე და საქართველოს სპორტული იმიჯის გაძლიერებაზე. სწორედ ხვიჩა კვარაცხელიას დამსახურებაა, რომ ქართველ ფეხბურთელებს გზა გაეხსნათ ევროპულ კლუბებში თამაშის და თავის გამოჩენის. მაგ-

ალითად, ზურიკო დავითშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, გიორგი მიქაუტაძე, გიორგი მამარდაშვილი, საბა საზანოვი, გიორგი კვერნაძე, საბა გოგლიჩიძე და ა.შ.

ახლა კი ვისაუბროთ იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც საფეხბურთო რადარზე ახლა გამოდიან და უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ამ თემასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სპორტის ჟურნალისტ ნიკოლო ტაბატაძეს, რომელიც გვესაუბრა და თავის აზრი დაგვიფიქსირა საქართველოს ახალ თაობაზე და ქართულ ფეხბურთზე. **ნიკოლოზ ტაბატაძე: „ქართული ფეხბურთი აღმასვლის პერიოდშია, რომელიც რა თქმა უნდა ხვიჩა კვარაცხელიამ დაიწყო და უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ფეხბურთის განვითარებაში. ხვიჩა კვარაცხელიამ გზა გაგვიხსნა და ქართველ ფეხბურთელებს მისცა საშუალება თავი გამოეჩინათ და მსოფლიო ასპარეზე გამოჩენილიყვნენ.“** ამის უამრავი მაგალითი გვაქვს, მაგალითად, გიორგი მიქაუტაძე, ზურიკო დავითშვილი, გიორგი მამარდაშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, რომლებიც თავის საქმეს იდეალურად ასრულებენ. რა თქმა უნდა, ეს ამით არ დასრულდება, გვეზრდება საბედნიეროდ ახალგაზრდა თაობა, რომლებიც მსოფლიო ასპარეზე ახლა იწყებენ გამოჩენას და ყველას გვჯერა, რომ ისინი იქმებიან ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები, მაგალიტათად, ვახტანგ სალია, რომელიც შემდეგი სეზონიდან ნიუკასლში ითამაშებს, გიორგი გაგუა, ლუკა ხარატიშვილი, საბა გოგლიჩიძე და ა.შ.

ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები

საბა გოგლიჩიძე
საბა გოგლიჩიძე ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ამჟამად ემპოლიში თამაშობს, რომელმაც საფეხბურთო კარიერა ქუთაისის ტორპედოში დაიწყო. 2022 წლიდან იცავდა საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთა ღირსებას. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მისი დებიუტი ეროვნულ გუნდში 2024 წლის 7 სექტემბერს, ერთა ლიგის გათამაშების ფარგლებში, ჩეხეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ შედგა, როდესაც მატჩის 88-ე წუთზე გიორგი გველესიანი შეცვალა. მატჩი მიხილ მესხის სტადიონზე გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით 4–1 დამთავრდა. ის ძირითადად ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს, თუმცა აგრეთვე უთამაშია მარჯვენა მცველად. საბას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და გვჯერა, რომ ქართული ფეხბურთი და ხალხი მისით ვიამაყებთ.

გაბრიელ სიგუა
გაბრიელ სიგუა (დ. 30 ივნისი, 2005) — ქართველი ფეხბურთელი. შეეიცარიული „ბაზელისა“ და საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი. 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. სიგუა 13 წლამდე „რუსთავისა“ და „საბურთალოს“ აკადემიებში თამაშობდა. 2021 წელს მოიგო ალექსანდრე ჩივაძის მედალი 17 წლამდელთა შორის და აღიარე-

ბული იქნა წლის ერთ-ერთ გამორჩეულ ტალანტად. 2022 წლის 7 აგვისტოს შედგა მისი დებიუტი თბილისის „დინამოს“ რიგებში, „სამტრედიასთან“ გამართულ შეხვედრაში. გაბრიელ სიგუა, რომელიც გახლავთ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე, რა თქმა უნდა, ქლუკა გაგნიძე (ქართ. ლუკა გაგნიძე; დ. 28 თებერვალი 2003) არის ქართველი პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელიც თამაშობს რუსული კლუბის დინამოსა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალურ ნახევარმცველად.

ლუკა გაგნიძე
ქუთაისში დაბადებულმა გაგნიძემ პირველი ნაბიჯები ფეხბურთში ტორპედოს აკადემიაში გადადგა. ათი წლის იყო, როცა დინამოს თბილისის აკადემიაში გადავიდა. 16 წლის ასაკში გაგნიძე ფართოდ იყო აღიარებული, როგორც ნიჭიერი მოთამაშე. 2019 წელს ზოგიერთმა მედიასაშუალებაში ის დაასახელა ათ ქართველ სპორტსმენს შორის, რომლებიც უახლოეს წლებში გაბრწყინდება. როგორც იმ დროს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი ნევრი, მან მიიღო ალექსანდრე ჩივაძის ოქროს მედალი, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია ყოველწლიურად ანიჭებს გამორჩეულ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ის რეგულარულად თამაშობდა დინამოში გიორგი ნემსაძის ხელმძღვანელობით. გაგნიძის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 2023 წლის 25 მარტს მონღოლეთთან ამხანაგურ მატჩში 6–1 შედგა. 2023 წლის ივნისში იგი გამოიძახეს ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე 21-წლამდელთა ნაკრებ-

ში. ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, როლითაც უამრავი გუნდი ინტერესდება.

ვახტანგ სალია, გიორგი გაგუა, ლუკა ხარატიშვილი
ვახტანგ სალია თბილისის დინამოს ფეხბურთელი, რომელიც შემდეგი სეზონიდან ნიუკასლში ითმამებს, რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება და მასზე ქართული გულშემატკივარი უდიდეს იმედს ამყარებს. გიორგი გაგუა, რომელიც ამჟამად ხორვატიაში თამაშობს, ქართველ გულშემატკივარს თავი სწორედ ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე დაამახსოვრა და მისით უამრავი ევროპული გუნდი დაინტერესდა. ის ისევ რჩება ევროპული გუნდების სამიზნედ და ქართველ გულშემატკივარს აქვს იმედი, რომ გაგუა მსოფლიო ფეხბურთში თავის სიტყავს იტყვის. ლუკა ხარატიშვილი დინამო ბათუმის ფეხბურთელი, რომელმაც თავი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში დაგვამხსოვრა და მისი წყალობით გავიდა -21-ის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, მისით უამრავი გუნდი ინტერესდება და ქართველი ექსპერტების აზრით ლუკა ქართულ ფეხბურთში თავის სათქმელს იტყვის.

დასკვნა
ქართული ფეხბურთი, შეიძლება ითქვას, განვითარების უმაღლეს მწვერვალზეა, რომელიც რა თქმა უნდა ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი ტალანტის გამოჩენას.

სამი ქართველი სპორტსმენის ტრანსფერი 2025 წელს

ავტორი: ირინე ჭაფარიძე

2025 წელი ქართველი ფეხბურთისთვის კიდევ ერთი ისტორიული ეტაპია. სამი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელის – ხვიჩა კვარაცხელიას, ვახტანგ სალიას და ჯაბა კანკავას ტრანსფერებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქართული ფეხბურთი განვითარების სწორ გზაზეა. ეს ტრანსფერები არამარტო მათ პირად კარიერაზე, არამედ მთლიანად ქართულ ფეხბურთზე დადებით გავლენას მოახდენს.

ხვიჩა კვარაცხელია – “პარი სენ-ჟერმენი”

ხვიჩა კვარაცხელია 2025 წელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ტრანსფერს მოაწერა ხელი. მას შემდეგ, რაც ხვიჩამ ნაპოლის შემადგენლობაში ორი შესანიშნავი სეზონი გაატარა, არაერთი ევროპული გრანდი დაინტერესდა მისით. საბოლოოდ, “პარი სენ-ჟერმენმა” 70 მილიონი ევროს სანაცვლოდ მოახერხა მისი ტრანსფერი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად მაღალი დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა კვარაცხელია.

სპორტის ჟურნალისტი და სპორტული კომენტატორი ნიკოლოზ ტაბატაძე ამბობს: “კვარაცხელიას ტექნიკა, სისწრაფე და უნარი, რომ ერთდროულად იყოს გუნდური მოთამაშე და ინდივიდუალური ვარსკვლავი, იდეალურად შეესაბამება პსჟ-ს სტილს. პარიზული კლუბი მასში ხედავს არა მხოლოდ მთავარ შემტევ ძალას, არამედ გუნდურ ლიდერს, რომელსაც შეუძლია გუნდი ახალ სიმაღლეებზე აიყვანოს.”

პირველი კომენტარები ხვიჩას ტრანსფერზე პოზიტიური იყო, ხოლო ფრანგულმა პრესამ მას

უკვე შეარქვა “პარიზის ახალი შუქურა.” მისი წარმატება პსჟ-ში უდიდესი გავლენას იქონიებს როგორც მის კარიერაზე, ისე ქართული ფეხბურთის საერთაშორისო პრესტიჟზე.



ხვიჩა კვარაცხელია

ვახტანგ სალია – “ნიუ კასლ იუ-ნაი ტედი”

ახალგაზრდა ტალანტი ვახტანგ სალია 2025 წელს საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდში, “ნიუ კასლ იუ-ნაი ტედი” გადავიდა. ეს ტრანსფერი განსაკუთრებულია, რადგან იგი ხაზს უსვამს ქართველი ფეხბურთელების მზარდ როლს ევროპულ ფეხბურთში. სალიას გასული სეზონი “დინამო ბათუმში” მთამებეჭდავი იყო – მან 15 გოლი გაიტანა და 12 საგოლე პასი გააკეთა, რაც “ნიუ კასლის” სკაუტების ყურადღებას არ გამოეპარვია.

ვახტანგისთვის პრემიერლიგაში თამაში უდიდესი გამოწვევაა. ინგლისის ლიგა ცნობილია თავისი დინამიურობით და მაღალ კონკურენციით, მაგრამ სალიას ტექნიკური შესაძლებლობები და ტაქტიკური უნარები, სავარაუდოდ, გაამართლებენ. ვახტანგმა უკვე გამართა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა “ნიუ

კასლის” შემადგენლობაში და მისი თამაში გულშემატკივრებმა დადებითად შეაფასეს.

სალიას წარმატება ინგლისში არა მხოლოდ მის კარიერას, არამედ საქართველოს ფეხბურთის საერთაშორისო რეპუტაციას გააძლიერებს.



ვახტანგ სალია

ჯაბა კანკავა – “დინამო თბილისი”

ჯაბა კანკავას დაბრუნება “დინამო თბილისში” განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა ქართველი გულშემატკივრებისთვის. კანკავა, რომელსაც წლები აქვს გატარებული ევროპულ კლუბებში და საქართველოს ნაკრების კაპიტნის რანგში ათობით ისტორიული თამაში აქვს გამართული, ახლა ეროვნულ ლიგას უბრუნდება, რათა საკუთარი გამოცდილება და ლიდერული უნარები ქართულ ფეხბურთს მოახმაროს.

“დინამო თბილისი” ჯაბას ტრანსფერით მნიშვნელოვნად გაძლიერდა. გუნდმა მიიღო არა მხოლოდ მაღალი დონის მოთამაშე, არამედ ნამდვილი ლიდერი, რომელიც როგორც მოედანზე, ისე გასახდელში შეუძლებელ როლს შეასრულებს.

მისი მიზანი მხოლოდ გუნდის შედეგების გაუმჯობესება არაა – ჯაბა ცდილობს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მოტივაცია და სწორი გზა აჩვენოს, რაც ქართული ფეხბურთის მომავალი თაობისთვის უმნიშვნელოვანესია.

ნიკოლოზ ტაბატაძის თქმით: “კანკავას “დინამო თბილისში” დაბრუნება დიდ სიხარულს იწვევს და გულშემატკივრებს იმედს აძლევს, რომ ეროვნული ლიგა უფრო მაღალი ხარისხის გახდება.”

ტრანსფერების გავლენა ქართულ ფეხბურთზე
ხვიჩა კვარაცხელიას, ვახტანგ სალიას და ჯაბა კანკავას ტრანსფერები მხოლოდ ინდივიდუალური წარმატებები არაა – ეს მოვლენები მთელ ქართულ ფეხბურთს აძლიერებს. ხვიჩას მაგალითი ახალგაზრდა თაობისთვის მოტივაციაა, რომ ქართულ ფეხბურთსაც შეუძლია ევროპულ დონეზე წარმატების მიღწევა. ვახტანგ სალიას გზა აჩვენებს, რომ ეროვნული ლიგადანაც შესაძლებელია პირდაპირ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ლიგებში გადასვლა, ხოლო ჯაბა კანკავას დაბრუნება ადგილობრივ ფეხბურთს გამოცდილებასა და სტაბილურობას მატებს.

2025 წელი ნამდვილად დაუვიწყარი იქნება ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ხოლო ამ სამ ტრანსფერს კიდევ დიდხანს განიხილავენ როგორც ქვეყნის სპორტული წარმატების მნიშვნელოვან ნაწილს.



ნაბა კანკავა



„ქალთა ფეხბურთი საქართველოში: სიძლიერე, გამოწვევები და პერსპექტივები“

ავტორი: საბა შუბლაძე



ქალთა ფეხბურთი საქართველოში ეტაპობრივად ვითარდება, თუმცა მისი ისტორია 20-ე საუკუნის ბოლოს დაიწყო. მას შემდეგ, რაც ქალები ფეხბურთში მასობრივად გამოჩნდნენ, მათ ბევრი სირთულე და გამოწვევა შეხვდათ, რაც ხელს უშლიდა ქალების პოპულარიზაციას ფეხბურთში. პირველად ქალთა ფეხბურთი საქართველოში 1990-იან წლებში გამოჩნდა, მაგრამ რეალური ცვლილებები 2000-იან წლებში მოხდა, როდესაც რიგობა გუნდებმა აქტიური მონაწილეობა დაიწყეს ევროტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპებზე.

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ფორმალურად იყო, რადგან იმ დროისთვის გუნდებს არ ჰქონდათ შესაბამისი პირობები, რომ ანგარიშგასანევი ძალა ყოფილყვნენ ევროპაში, ან თუნდაც კარგად აღეზარდათ მომავალი ქალი ფეხბურთელები. ამისთვის საჭირო იყო ფინანსები, მაგრამ ფინანსების მოძიება ქალთა ფეხბურთში რთულია, მისი პოპულარიზაციიდან გამომდინარე, ამიტომ ქალ ფეხბურთელებს ყველაფრის გაკეთება თავად უწევდათ. საქართველოში არ იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ეკიპირება და დრო. ხალხი სტერეოტიპულად უყურებდა ქალ ფეხბურთელებს, მაგრამ მათმა შრომამ და მიზანდასახულობამ, ეს აზრი ნელ-ნელა შეცვალა.

თამარ ქველიძე, რომელიც „კარლსრუეს“ მაისურით ჩემპიონთა ლიგაზე მოასპარეზე პირველი ქართველი ქალი ფეხბურთელია ამბობს, რომ საქართველოში დამცინავი პირობები იყო. „გჯერათ, რომ საქართველოში სადაც მითამაშა, ხელფასი არსად არ მქონია და ასე იყო ყველა. ეს მომგებიანი არ იყო არავის სურდა, ამაში ფულის ჩადება. კიდევ კარგი, რომ ეს მიდგომა შეიცვალა და ახლა გოგონებს ელემენტარული ხელფასი, ეკიპირება და ვარჯიშის საშუალება აქვთ.“ თამარ ქველიძე ქართული ფეხბურთის პოპუ-

ლარიზაციის ერთ-ერთი მთავარი წამომწყებია, ეროვნული ნაკრების მაისურის მორგება ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ ესეც უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ფინანსური სიმწირის გამო, გოგონებმა ძალიან რთული დღეები გამოიარეს. „ერთ-ერთ თამაშზე, აღმოჩნდა, რომ ერთ ფორმას მაისური აკლდა, ხოლო მეორესას - შორტი. ერთხელ, აეროპორტში დაგვაგვიანდა მისვლა, თამაშის გამოტოვება გვინევდა, იმიტომ რომ ბილეთები არ გვქონდა აღებული“. დიდი ხნის მანძილზე ქალთა ეროვნული ნაკრები ამ ეტაპზე იყო და წინ ვერ მიდიოდა, ბევრმა ფეხბურთელმა ამის გამო კარიერაც დაასრულა, აქ მომავალს ვეღარ ხედავდნენ. „ეროვნული ნაკრების ბაზაზე - "ბასაზე" შეგვიყვანეს. ცხელი წყალი არ მოდიოდა, ამიტომ ვერ ვვარჯიშობდით. სავარჯიშოდ ვერ მივდიოდით, იმიტომ, რომ ავტობუსს სანავაი არ ჰქონდა. საჭმელი არ იყო, ამიტომ ფულს ვაგროვებდით და ბოსტნეულს ვყიდულობდით. გვპირდებოდნენ ყოველდღე,

რალაც შეიცვლებოდა, გამოსწორდებოდა, ვიცოდით, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო, მაგრამ მაინც ერთმანეთს ვაჯერებდით, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა“ - ამბობს ქველიძე.

ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ამას ძალიან დიდი დრო დაჭირდა. დღესდღეობით საქართველოში მრავალი ქალთა ფეხბურთის კლუბი არსებობს, მათ შორის ყველაზე ცნობილი „ლანჩხუთია“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე მოასპარეზე პირველი ქართული კლუბია. როცა ესა თუ ის მოვლენა საერთო კონტესტიდან თუ დონიდან ამოვარდნილია, ადრე თუ გვიან, ლოგიკურ კალაპოტს უბრუნდება. 2020 წელს, ქალთა საფეხბურთო ნაკრების ცუდი გამოსვლის შემდეგ, ყველას ორმაგად გვახარებდა მოკრძალებულ კლუბ „ლანჩხუთის“ წარმატება. ამ ფეხბურთელებმა, სამწვრთნელო შტაბთან ერთად,

წარმოუდგენლად ბევრი შეძლეს.

ლანჩხუთის ყოფილი მთავარი ბომბარდირი ხატია ჭყონია ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგაზე გასვლის შემდეგ ხალხის დამოკიდებულება შეიცვალა. „ხალხი ჩვენს მიმართ უფრო დიდი სიყვარულით განეცნო, როდესაც ჩემპიონთა ლიგაზე მოვხვდით, ჯანო ანანიძემ, საფეხბურთო ეკიპირებით დაგვა-საჩუქრა და დაგვაფინანსა, ყველა ჩვენს გვერდით იდგა და პირველად ვიგრძენი, რომ ხალხს ქალთა ფეხბურთი აინტერესებდა.

თამაშამდე გასახდელიდან გამოსულ ფეხბურთელებს რომ დააკვირდებოდი, უკვე ბევრ შეკითხვას გაეცემოდა პასუხი - შევედურ კლუბს ცნობილი ბრენდის სპონსორობა ამშვენებდა, ჩვენ კი სადაც არ უნდა წავიდეთ, ბოლოს მაინც, ფინანსებამდე მივალთ. მართალია შევედურ კლუბთან დავმარცხდით, მაგრამ ხალხი მაინც ბოლომდე გვერდში გვედგა, ეს მარცხი რეალურად დიდი გამარჯვება იყო, რადგან ბევრი პატარა გოგო დაინტერესდა ფეხბურთით, ასევე ბევრ სპონსორს გაუჩნდა ინტერესი ქალთა ფეხბურთის მიმართ, რაც ძალიან მახარებს“

ქალთა ფეხბურთი, ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს და ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირში, თუნდაც მხოლოდ, მონაწილეობა პატარა საქმე არ არის, ეს დიდი ისტორიაა, ლანჩხუთი კი აგრძელებს განვითარებას და მას სხვა ქართული კლუბებიც უერთდებიან.

საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში, მათ შორის, ევროპის ჩემპიონატებისა და მსოფლიო ჩემპიონატების საკვალიფიკაციო მატჩებზე. თუმცა, გუნდის შედეგები ამ დრომდე არ იყო სახარბიელო, მაგრამ ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაფერი შეიცვალა. საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ლიეტუვაში თამაშობდა და საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფური ტურნირიდან პლეი-ოფში

გადასვლის შანსს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ინარჩუნებდა. დაძაბული შეხვედრის 88 წუთი ისე მიიწურა, რომ მეტოქეებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს და ყველაფერი მეკარესთან პირისპირ გასული თეონა ბაქრაძის ნაქცევისთვის დანიშნულმა თერთმეტმეტრიანმა გადაწყვიტა. მაიკო ბებიაძე მეკარისგან მარცხენა ცხრიანში ზუსტი დარტყმით საქართველოს ნაკრებს გამარჯვება მოუტანა. საბოლოოდ საქართველომ თავის ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, ჩ დივიზიონის ხუთ მეორეადგილოსანს შორის კი მესამე საუკეთესო შედეგი აჩვენა და ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებისთვის ორრაუნდიან პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. საქართველოს ქალთა ფეხბურთში მსგავსი რამ აქამდე არ მომხდარა. საქართველოს ქალთა ნაკრები პირველად გავიდა საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფური ეტაპიდან. უკანასკნელი გოლის ავტორი მაიკო ბებია ამბობს, რომ ამით ქართულ ფეხბურთში ახალი თავი დაიწყო. „როდესაც ბურთი ავიღე და პენალტის ნიშნულთან მივედი, ვიცოდი, რომ აუცილებლად უნდა გამეტანა, რადგან ეს ჩვენ გვეკუთვნოდა, აქ მოსასვლელად ბევრი ვიბრძოლეთ და ახლა მარცხის დრო არ იყო.“

საქართველოს მეტოქე ორრაუნდიან პლეი-ოფში დივიზიონში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულ ნორვეგიის, ფინეთის, ბელგიის, ჩეხეთის, შვედეთის ირლანდიის, ავსტრიის ან პოლონეთის ნაკრები იქნება. პლეი-ოფის პირველ რაუნდში გამარჯვების შემთხვევაში საქართველო სხვა 13 გუნდთან ერთად პლეი-ოფის მეორე რაუნდში გადავა და ერთ-ერთ მათგანს დაუწყვილდება. მასთან მოგების შემთხვევაში შვიდ სხვა გუნდთან ერთად საგზურის უკვე მფლობელ რვა ნაკრებთან და მასპინძლებთან, შვეიცარიელებთან ერთად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე.

„ვიცი, რომ პლეი-ოფში რთული მატჩები გველოდება და ყველგან აუთსაიდერები ვიქნებით, მაგრამ ჩვენ საპირისპიროს დამტკიცებას ვაპირებთ, როცა ვუყურებდით, მამაკაცთა ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე და ხალხის უდიდეს სიყვარულს მათ მიმართ, ჩვენც გვინდა, რომ მოვხვდეთ ევროპის ჩემპიონატზე და ხალხს დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც უმაღლესს დონეზე ვთამაშობთ ფეხბურთს“. - განაცხადა მაიკო ბებიაძე

მიუხედავად პროგრესისა, ქალთა ფეხბურთს მრავალი სირთულე და გამოწვევა აქვს. ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა, საზოგადოების მხრიდან ცუდი დამოკიდებულება და ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა - ეს ყველაფერი ხელს უშლის სრულყოფილი განვითარებისთვის. საჭიროა მეტი ინვესტიციები, რათა განვითარება გაგრძელდეს. ქალთა ფეხბურთის პოპულარიზაციის აუცილებლობა დღემდე აქტუალურია. სკოლის ასაკის ბავშვებისთვის სპორტული პროგრამების დანერგვა, მედია ყურადღება და საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების შექმნა აუცილებელია. სხვადასხვა ორგანიზაციები, სახელმწიფო და კერძო სექტორები აქტიურად ცდილობენ ხელი შეუწყონ ქალთა ფეხბურთის განვითარებას.

ქალთა ფეხბურთი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, მაგრამ პროგრესის ნიშნები აშკარაა. სოციალური და ფინანსური მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მეტი პოპულარიზაცია აუცილებელია, რათა ეს სპორტი უფრო ფართოდ გავრცელდეს და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი. ქალთა ფეხბურთი არა მხოლოდ სპორტული აქტივობაა, არამედ ქალების ძალისხმეის და შემოქმედების გამოხატვის საშუალებაა.

რედაქტორის სვეტი

შემოქმედაბითი სიხარული და კონფლიქტი

უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემისთვის მზადება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალმხრივი გამოცდილება აღმოჩნდა. ეს პროცესი არა მხოლოდ პროფესიული განვითარების, არამედ გუნდური მუშაობის გამოცდაც იყო, რომელმაც ერთდროულად ბევრი დადებითი და ნეგატიური მხარე გამოავლინა. გაზეთის აწყობისას და სტატიების დაწერისას ყველაზე დიდი სიხარული ის იყო, რომ მთელი გუნდი თავდაპირველად ენერგიითა და ენთუზიაზმით მუშაობდა. ერთად ვამუშავებდით იდეებს. მაგალითად, თემის არჩევა, სათაურების მოფიქრება ყოველთვის ინტენსიური, მაგრამ საინტერესო იყო. თუმცა, ყველაფერმა ასე მარტივად არ ჩაიარა. გაზეთის აწყობის დროს ბევრი ბარიერი წარმოიქმნა, რომელიც გუნდურ ურთიერთობებზე აისახა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო გუნდის რამდენიმე წევრის დამოკიდებულება რედაქტორის მითითებების მიმართ. ზოგიერთისთვის შეფასებები და შენიშვნები პირად კრიტიკად აღიქმებოდა. რამდენიმე ჩვენგანი არ ითვალისწინებდა სტრუქტურისა და ტონალობის მითითებებს და თავისი ინტერპრეტაციით აგრძელებდა სტატიის წერას. წარმოქმნილი პრობლემები ხანდახან ცუდად აისახებოდა საერთო განწყობაზე. საბოლოოდ, ყველა ერთიანად ვმოქმედებდით, თუმცა, პროცესში გუნდურობის პრინციპი ხშირად ირღვეოდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მოვახერხეთ გაზეთისთვის საბოლოო სახე მიგვეცა და შეგვექმნა ნაშრომი, რაც თითოეული სტუდენტის დამსახურებაა.

ავტორი: ანა ძაბახიძე

გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა

რედაქტორები:
ლიზა პაპასეუა
ანა ძაბახიძე

დამკაბადონებლები:
ელენე სავანელი
მარიამ ჩალაური

ჟურნალისტები:

ლაშა ნოზაძე, საბა შუბლაძე, ირინე ჯაფარიძე, ანა ძაბახიძე, ლიზა პაპასეუა, ელენე ქარქაშაძე, ანი არჯევანიძე, ნინო მიქავა, თამარ როსტიაშვილი, დავით ბანცაძე, მარიამ მეღიჭიძე, გიორგი სირბილაძე, ლეილა ტიმირბულატოვი, ელენე სავანელი, მარიამ ჩალაური, დარი მუზაშვილი, ნატა ჭილაძე, ნიკა რუხაძე, მარიამ ორმოცაძე

საბანი: გაზეთის წარმოება

ლექტორები:
მალხაზ გაბუა
მარიამ ძამოივი